გაზეთი ბევრია, „ვერცხია" ერთი

ვერცხი

ფასი 50 თეთრი

№39 (934) 18 - 22 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125

დაცვის პოლიცია

გილოცავთ!

შემდეგი ნომერი გამოვა, ოთხშაბათს, 23 აპრილს

მაღლობა ღმერთისა რო დაგვსწარით აღდგომასა. ქრისტე აღდგა. ჭეშმარიტათ

სამი სცენარი უკრაინისთვის

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების სკანდალური პროგნოზი გვ. 5

თბილისში დამატებით 9 საბავშვო ბაღი აშენდება

როგორ აპირებს ხელისუფლება გასხვისებული ბაღების დაბრუნებას

ვაკეში „სმარტი" და „ვენდი" გაიხსნა

„ვისოდ ჯგუფის" საალდგომო საჩუქარი თბილისელებისთვის

თაღლითური სქემა, რომლითაც ბინის კანონიერ მფლობელს საკუთრებას ართმევენ

გვ. 6-7

ვინ არის შპს „კავუნიტექსის" დირექტორი მარხაზ მირცხულავა და რა კავშირი აქვს ქართულ ბანკის გაკოტრებასთან?

„ქართველ ადამიანს ურჩევნია თავი დაიჩაგროს, ვიდრე სხვა“

„ქართველი ხალხის რწმენას ვერანაირი სხვა ძალა ვერ შეცვლის“, — იქადაგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ.

პატრიარქმა სამებაში დიდი ხუთშაბათის დღესასწაულთან დაკავშირებით ფეხთბანვის წესიც აღასრულა და ფეხი 12 მღვდელთმსახურს დაბანა.

ფეხთბანის წესის შემდეგ პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა და თავმდაბლობისა და სიწმინდის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომლითაც ადამიანი უფლის მადლის მიმღები ხდება: **„ღვთის წყალობა და მადლი მიდის იმ ადამიანზე, რომელსაც აქვს თავმდაბლობა, მორჩილება, სიწმინდე, სარწმუნოება. ქართველი ადამიანი ოდითგანვე ფიქრობს და ცდილობს, შეინარჩუნოს სარწმუნოება მტკიცედ. ქართველი ადამიანი არავის ჩაგრავს. ქართველ ადამიანს ურჩევნია, თვითონ დაჩაგროს თავისი თავი, ვიდრე — სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ სიწმინდეს, სარწმუნოებას, რომელიც ჩვენ გვაქვს, რომლითაც ცხოვრობდა და ცხოვრობს ქართველი ხალხი, ვერავინ შეცვლის, ვერავითარი სხვა რწმენა. სარწმუნოება მოდის ღვთისაგან და ეფინება ადამიანს. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ეს სარწმუნოება დღემდე გვაქვს და გვექნება კიდევ. ჯვარი გეწეროთ. ღმერთმა მოგცეთ მადლი და წყალობა. ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაუთენოს მთელს საქართველოს. ამინ“.**

„ინტერპრესნიუსი“

სხვა სახელმწიფოში ხანგრძლივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე“ აღარ იქნება

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულედ მხოლოდ უცხო ქვეყნის ის მოქალაქე ჩაითვლება, რომელსაც აქვს წარმომავლობა საქართველოდან ან რომლის მშობლური ენა ქართულ-კავკასიურ ენებს მიეკუთვნება.

შესაბამისი ცვლილებები „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა მოამზადა.

მოქმედი კანონით, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში, ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა, ან რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ-კავკასიურ ენებს. ეს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის ითვალისწინებს გარკვეულ პრივილეგიებს სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში.

როგორც პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი განმარტავს, არ არსებობს საჭიროება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე უცხოეთში ხანგრძლივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე იყოს, რადგან საქართველოს მოქალაქეს კონსტიტუციით და კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, გაცილებით ფართო უფლებები აქვს, რაც ისედაც მოიცავს იმ უფლებებსა და პრივილეგიებს, რომლებიც უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს ენიჭებათ.

„ინტერპრენიუსი“

ერთიანი ეროვნული გამოცდები 26 ივნისს დაიწყება

გამოცდების ეროვნული ცენტრი 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგს აქვეყნებს. ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდები 26 ივნისს დაიწყება.

პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში 26-27 ივნისს ჩატარდება.

გამოცდა ზოგად უნარებში 30 ივნისს და 1 ივლისსაა დანიშნული. ინგლისურ ენაში – 2-3 ივლისს. რუსულ, გერმანულ და ფრანგული ენებში კი გამოცდა 4 ივლისს ჩატარდება.

რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, გამოცდების განრიგი შემდეგია: 8 ივლისი — ლიტერატურა; 9 ივლისი — გეოგრაფია; 10 ივლისი — ისტორია; 11 ივლისი — მათემატიკა; 14 ივლისი — ქიმია; 15 ივლისი — ბიოლოგია; 16 ივლისი — ფიზიკა; 16 ივლისი — სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

ამასთან, 14 ივლისისთვის ჩანიშნულია სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;

გამოცდების ეროვნული ცენტრი ასევე აქვეყნებს 2014 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგსაც — 7 ივლისი — წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა; 8 ივლისი — ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა; 14 ივლისი — წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა; 15 ივლისი — ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.

„ინტერპრესნიუსი“

ძველ თბილისში საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა

ძველ თბილისში, აბესაძისა და კუფტინის ქუჩების კვეთაზე, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის ერთი ნაწილი ჩამოინგრა. კუფტინის ქუჩაზე მცხოვრებლების განმარტებით, იმის გამო, რომ აღნიშნული კორპუსი ავარიულია, თბილისის მერიამ მათი ბინადრები შენობიდან ჯერ კიდევ ორი წლის წინ გაასახლა. კუფტინის ქუჩის მკვიდრი ნუგზარ ნასყიდაშვილი აცხადებს: **„ამ შენობის ნგრევა ორი წლის წინ დაიწყო – პირველი ნაწილი სწორედ მაშინ ჩამოინგრა, ახლა კი კიდევ ერთი ნაწილი ჩამოიშალა. ადგილზე თბილისის მერიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, თუმცა გვეუბნებიან, რომ არაფრის გაკეთება შეუძლიათ, რადგან კორპუსი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შედის და კულტურის სამინისტრო მისი დანგრევის უფლებას არ აძლევს“.**

შენობის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად დაზიანდა ბუნებრივი აირის მილი. ასევე ჩახერგილია გზა, რომლითაც, ქუჩის მცხოვრებლების თქმით, ხშირად მოსწავლეები სარგებლობენ.

„ინტერპრესნიუსი“

ევროპარლამენტის რეზოლუცია: საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას ევროპული პერსპექტივა აქვთ

„რუსეთს კვლავ ოკუპირებული აქვს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონები საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების დარღვევით“, — ნათქვამია ევროპარლამენტის რეზოლუციაში, სახელწოდებით **„რუსეთის გავლენა „აღმოსავლეთ ევროპის“ ქვეყნებზე და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაცია“.**

ევროპარლამენტის რეზოლუციაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას, მსგავსად სხვა ევროპული ქვეყნებისა, აქვთ ევროპული პერსპექტივა: **„ევროკავშირის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას, მსგავსად სხვა ევროპული ქვეყნებისა, აქვთ ევროპული პერსპექტივა და შეუძლიათ მოითხოვონ კავშირის წევრობა იმ პირობით, რომ დაიცავენ დემოკრატიის პრინციპებს, პატივს სცემენ ფუნდამენტურ თავისუფლებას, ადამიანისა და უმცირესობების უფლებას და უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობას“.**

ევროპარლამენტი ასევე აღნიშნავს, რომ უკრაინასთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ევროკავშირთან ამ ქვეყნების ურთიერთობის საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს.

ევროპარლამენტი მხარს უჭერს უკრაინის ხელისუფლებას, რომელიც ოკუპირებულ ქალაქებში ძალაუფლების აღდგენას ცდილობს: **„მივესალმებით იმ თავშეკავებასა და აუჩქარებლობას, რომლითაც ამ ეტაპზე უკრაინის ხელისუფლება შექმნილ კრიზისს უმკლავდება“.**

„ინტერპრესნიუსი“

7 სპეცრაზმელის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პროკურატურა გაასაჩივრებს

როგორც პროკურორმა სალომე ჯანუაშვილმა განაცხადა, განაჩენის ჩაბარების შემდეგ ბრალდების მხარე უზენაესი სასამართლოსთვის საკასაციო საჩივარს მოამზადებს: **„ჩვენ მოვისმინეთ სასამართლოს გადაწყვეტილება, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. ჩვენ მას არ ვეთანხმებით და კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო წესით გავასაჩივრებთ“.**

7 სპეცრაზმელის საქმეზე ბაჩო ახალაია სააპელაციო სასამართლომაც გაამართლა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა — მაია თეთრაულმა, გიორგი მიროტაძემ და სხდომის თავმჯდომარე ლევან თევზაძემ მიიღეს. მათი განმარტებით, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ სააპელაციო სასამართლოს სხვა განაჩენი მიეღო.

განაჩენის გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაშია შესაძლებელი.

„პირველი“

„სამხედრო აგრესია უნდა ავიცილოთ“

რა საფრთხე გველის რუსეთისგან და შესაძლებელია თუ არა, საქართველო ნატო-ში მაპ-ის გარეშე მიიღონ

ეროსუდან შელია
557-100-768

რატომ განაცხადა ეუთო-ს წარმომადგენლობამ საქართველოში თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით ჩამოსვლაზე უარი და უკავშირდება თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოში რუსეთის მხარდამჭერი ორგანიზაციების გააქტიურებას? რა პრევენციულ ზომებს მიმართავს ხელისუფლება საქართველოში რუსული პასპორტების დარიგების პრევენციისთვის და შეიქმნა თუ არა გადაჭარბებული მოლოდინი 2014 წლის სექტემბერში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების მიმართულებით? „ვერსიის“ კითხვებს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი პასუხობს.

— როგორც წესი, ეუთო-ს წარმომადგენლები ადგილობრივ არჩევნებს მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში აკვირდებიან. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები კი ასევე ევროპის საბჭო, IRI და NDI უკვე მზად არიან, მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს დააკვირდნენ.

— 2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეუთო-ს 400-ზე მეტი წარმომადგენელი აკვირდებოდა.

— თუ არ ვცდები, მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ, თანაც მაშინ განსხვავებული პოლიტიკური ვითარება იყო, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების შემდეგ, ამის აუცილებლობა არ არსებობს. 2010 წელს კი პოსტსაპრორტესტო აქციების პერიოდი იყო. მაშინ ოპოზიციაც პრინციპულად ითხოვდა, არჩევნებზე ეუთო-ს წარმომადგენლობა ჩამოსულიყო.

— თუმცა ახლაც საკმაოდ დაძაბული წინასაარჩევნო ვითარებაა — ევროკავშირის ასოცირების ხელმოწერამდე რუსეთის მხარდამჭერი ორგანიზაციები აქტიურდებიან. ითქვა კიდეც, რომ ეუთო-ს წარმომადგენლობის საქართველოში ჩამოსვლის საკითხი რუსეთმა დაბლოკა, რადგან გარკვეული პროვოკაციებისთვის ემზადება.

— შესაძლოა, მხოლოდ რუსეთის ფაქტორი არ იყოს და ეს გადაწყვეტილება ეუთო-მ კონსენსუსის საფუძველზე მიიღო. ფანტაზიის ნაყოფია, როცა ამბობენ, რომ რუსეთმა საქართველოში „ოდირის“ დამკვირვებლების გამოგზავნა საქართველოში დესტაბილიზაციის მოსაწყობად დაბლოკა. ამაში ყველანი მალე დავრწმუნდებით.

— საქართველოს ხელისუფლება რატომ არ აქტიურობს ამ საკითხის გადასაჭრელად, ეუთო-ს გადაწყვეტილების შესაცვლელად გარკვეული მექანიზმი ხომ არსებობს?

— ეუთო ისეთი ორგანიზაციაა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის აქტიურობაც კი არაფერს წყვეტს. მასში შემავალ ცალკეულ სახელმწიფოებს რიგ საკითხებზე ვეტოს დადების უფლება აქვთ. ზოგადად, გაერო-ში, ეუთო-სა თუ უშიშროების საბჭოში, რუსეთი ვეტოს უფლებას ყოველთვის ყველგან იყენებს, რათა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი დააკნინოს. სამწუხაროდ, ამ ფაქტს ისეთი ზესახელმწიფოებიც კი, როგორიც აშშ, საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთია, ვერ უმკლავდებიან. ზოგადად, ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგად მუშაობს. უნამუსობა იქნება თქმა, რომ საქართველოს დიპლომატია არაეფექტურია.

— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენციები ერთმანეთში რომ ერევა, ნორმალურია?

— ამის შესახებ მაია ფანჯიკიძემ განმარტება თავად გააკეთა... იგი ძალიან კარგი მინისტრია.

— საფრთხეს დავუბრუნდეთ... ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჯავახეთის მოქალაქეებზე რუსული პასპორტები საბჭოთა სამხედრო ბილეთის საფუძველზე რიგდება. რას აკეთებს ხელისუფლება მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის?

— მსგავსი ინფორმაცია არ დასტურდება და საქართველოს ხელისუფლებაც ჭორის დონეზე ვერ იმოქმედებს. საკონსულოსთან რიგები მართლაც არის, თუმცა არა რუსული პასპორტების მისაღებად.

— მიუხედავად ამისა, ეს ხელისუფლებისთვის მინიშნება არ იყო? ეს სცენარი ხომ საქართველოსთვის კარგად ნაცნობია — რუსეთი სხვა სახელმწიფოში პროვოკაციებს ყოველთვის რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვით იწყებს.

— დიახ, ეს სცენარი საქართველოში უკვე გავლილია, რუსეთმა მისი რეალიზება ყირიმშიც მოახერხა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი შედეგია. რა თქმა უნდა, საკმაოდ რთულ ვითარებაში ვართ, მაგრამ ამ მიმართულებით უამრავი საკითხი შესწავლილი და განხილული გვაქვს. რუსეთს პროვოკაციებზე წამოგების საშუალებასაც არ ვაძლევთ. პროვოკაციები კი, პერიოდულად ჩნდება. ჟურნალისტების გატაცება, საჰაერო სივრცის დარღვევა, სოჭის ოლიმპიადის მეორე დღესვე საოკუპაციო საზღვრის გავლება... ვცდილობთ. რეგიონში ესკალაცია თავიდან ავიცილოთ. მართლაც რთულ ვითარებაში გვიწევს წინსვლა, მაგრამ ეს მაინც წინსვლაა! ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს აუცილებლად მოვაწერთ. ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაზეც აქტიურად ვმუშაობთ და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს.

— ექსპერტების პროგნოზით, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესს რუსეთი საფრთხეს არ შეუქმნის. მსგავსი დაპირება ზურაბ აბაშიძემ გრიგორი კარასინისგანაც მიიღო. მიუხედავად ამისა, ამბობენ, რომ პუტინი სექტემბერში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას არ დაუშვებს.

— ფორმალურად, რუსეთს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხს არავინ ეკითხება. თანაც, ნუ დავარქმევთ ამ ყველაფერს სექტემბერში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების პროცესს.

— რატომ, ეჭვი გეპარებათ, რომ სექტემბერში საქართველო მაპ-ს მიიღებს?

— ნატო აუცილებლად მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს ნატო-სთან მიახლოების პროცესში პროგრესის ამსახველი იქნება. ეს მაპ-ი იქნება თუ რამე კიდევ უკეთესი, ნატო-ს წევრი ქვეყნის ლიდერები და არც ნატო-ს ხელმძღვანელობა ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ივნისში საგარეო საქმეთა მინისტრების მინისტერიალი იმართება, სადაც ოთხი ასპირანტი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს პროგრესის ანგარიშს განიხილავენ, რომლის საფუძველზეც და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საკუთარ პოზიციებს, თუ რა შეიძლება საქართველოს მიენიჭოს, ლიდერებს წარუდგენენ. მანამდე კი, ინტენსიური დიპლომატიის დროა. თვის ბოლოს საქართველოში გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ჩამოდიან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი კი ივნისში, ანგელა მერკელის მოწვევით, გერმანიაში მიემგზავრება. სწორედ ამ პროცესების შემდეგ გაჩნდება შეგრძნება, რას უნდა ველოდეთ კონკრეტულად. ამიტომ არ მინდა საზოგადოებაში მცდარი მოლოდინი შეიქმნას და ატყდეს აჟიოტაჟი, მაპ-ს მივიღებთ თუ მაპ-ზე უკეთესს.

— ეს მოლოდინი ბიძინა ივანიშვილმა არ შექმნა, როცა პრემიერის თანამდებობაზე ყოფნისას განაცხადა — 2014 წელს საქართველო მაპ-ს მიიღებსო?

— დიახ, განაცხადა... საქართველოს მოქმედმა პრემიერ-მინისტრმაც აღნიშნა, გვინდა, საქართველომ მაპ-ი მიიღოს, რადგან ამას იმსახურებსო. ახლა ბურთი ჩვენი ნატო-ელი პარტნიორების მოედანზეა, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ გეოპოლიტიკური და რეგიონში არსებული ვითარება პერსპექტივებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ყირიმისა და უკრაინის მოვლენების ფონზე, სექტემბრამდე დიდი დროა! თუ გავითვალისწინებთ, როგორი დინამიკით იცვლება მოვლენები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, შესაძლოა, სექტემბერში ჩვენთვის წარმოუდგენელ შედეგამდეც კი მივიდეთ.

— დააკონკრეტეთ, სწორედ უკრაინის მოვლენების ფონზე და იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც საქართველოს წინაშე რუსეთის მხრიდან დგას, შესაძლოა, მაპ-ის მინიჭების საკითხი გადავადდეს?

— ასე ვიტყოდი: მცირე, ხაზს ვუსვამ, მცირე ალბათობა არსებობს, რომ საქართველო პირდაპირ ნატო-ში მიიწვიონ.

— ცოტა ხნის წინ გადაჭარბებულ მოლოდინზე საუბრობდით. არადა, ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, საქართველო და უკრაინა ნატო-ს გზაზე არ დგანან.

— ამიტომაც გავუსვი ხაზი სიტყვა მცირედს... ოპტიმისტებისა და მხარდამჭერების რიცხვი აშკარად გაზრდილია და ნატო-ს შიგნით ჩვენ მიმართ უპირატესობებიც არსებობს, მაგრამ გადაწყვეტილების მოსამწიფებლად, როგორც ეუთო-ში, ისე ნატო-შიც კონსენსუსის მიღწევა აუცილებელია. მოვლენების განვითარება გვაჩვენებს, რომ შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან ერთად, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელიც რუსეთის შემდგომ აგრესიულ პოლიტიკას რეალურად შეაჩერებს. მაგალითად, ესტონეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ადგილზე, უკრაინაში ნატო-ს ჯარისკაცები და წარმომადგენლები უნდა იმყოფებოდნენ; ამასთან სხვა სახელმწიფოების ლიდერებიც აცხადებენ, თუ ვითარების ესკალაცია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში არ შეჩერდა, შესაძლოა, უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე მსჯელობა დაიწყოს. მოვლენების განვითარების სცენარი და ხერხები მაგიდაზე დევს, თუმცა რომელ მიმართულებას აირჩევენ, დრო გვიჩვენებს.

— ამ ფონზე, ამერიკის კონგრესის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ რუსული სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგაც მოსალოდნელია.

— რა თქმა უნდა, ნათელია, ასეთ შემთხვევაში შეიარაღების თვალსაზრისით უპირატესობა რომელი სახელმწიფოს მხარეს იქნება, ამიტომ დიპლომატიისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზებით სამხედრო აგრესია თავიდან უნდა ავიცილოთ.

გირგვლიანის პროცესზე ინციდენტი მოხდა

საქალაქო სასამართლოში, სანდრო გირგვლიანის საქმეზე პროცესის გადადების შემდეგ ინციდენტი მოხდა. სასამართლოში ირაკლი კაკაბაძე, სანდრო გირგვლიანის მამა, დაჩი ცაგურია და კიდევ რამდენიმე პირი იმყოფებოდნენ. სასამართლო დარბაზიდან დათა ახალაიას ადვოკატის, ირაკლი ზაქარეიშვილის გამოსვლის შემდეგ, გირგვლიანის ახლობლები ადვოკატს დაუპირისპირდნენ. ირაკლი კაკაბაძემ ადვოკატ ზაქარეიშვილს შეაფურთხა. ინციდენტში სასამართლოს მანდატურის სამსახური ჩაერია, ვითარება მალევე განიმუხტა. ირაკლი ზაქარეიშვილმა ირაკლი კაკაბაძე თავდასხმაში დაადანაშაულა და იმედი გამოთქვა, რომ ინციდენტის გამო მას პასუხს აგებინებენ: **„ირაკლი კაკაბაძე და მისი მანძუგები თავს დამესხნენ. კაკაბაძე იფურთხებოდა აქლემივით და მემუქრებოდა“.**

ირაკლი კაკაბაძე კი აღნიშნავს: **„ფურთხის ღირსია ეს კაცი და მიიღო კიდეც“.**

ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სანდრო გირგვლიანის მამამ, გურამ გირგვლიანმაც. მისი თქმით, პროტესტი გამოიწვია ზაქარეიშვილის განცხადებამ, თითქოს გირგვლიანის მკვლელობაში ბუხაიძეა დამნაშავე: **„სირცხვილია მსგავსი განცხადებები. გამოდის ეს კაცი და იძახის ერთი და იგივეს. პრეზიდენტმაც კი აღიარა ეს მკვლელობა და სირცხვილია, როდესაც ეს ადამიანი ბუხაიძეს სდებს ბრალს. მალე ალბათ იტყვიან, რომ მე მოვკალი ჩემი შვილი“.**

ირაკლი კაკაბაძემ კი ხელისუფლებას ბოლო გაფრთხილება მისცა და ნაციონალური მოძრაობის გასამართლება კიდევ ერთხელ მოითხოვა: **„ფურთხი ყველასთვის გვაქვს შემონახული. ჩვენ გადავალთ პირდაპირი მნიშვნელობით შეტევაზე, სასამართლოს საშუალებით და სასამართლოს ფარგლებსგარეთაც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ნაციონალებმა სააკაშვილიდან დაწყებული რიგითი ნაციონალით დამთავრებული, სულ ნეხვში იცურაონ მთელი ცხოვრების მანძილზე, სანამ არ მოინანიებენ თავიანთ დანაშაულს ქართველი ერის წინაშე“.**

გირგვლიანის პროცესი ვანო მერაბიშვილის ადვოკატების გამოუცხადებლობის გამო 28 აპრილს განახლდება. პროცესზე საქმის არსებითი განხილვა დაიწყება.

„ვერსიანიუსი“

მოქალაქეებმა ახალქალაქში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაიონულ სამმართველოში სოფელ დილისკაში მცხოვრებმა, 1968 წელს დაბადებულმა სურიკ მ-მ, სოფელ ოკამში მცხოვრებმა, 1975 წელს დაბადებულმა მერაბ ნ-მ და სოფელ ორჯაში მცხოვრებმა, 1985 წელს დაბადებულმა გაგიკ ბ-მ წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს: გადაჭრილი სანადირო თოფი, „ეფ-1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, „ერ-გე-42“-ის ტიპის 1 ხელყუმბარა, ხელყუმბარის 3 დეტონატორი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სხვადასხვა კალიბრის 18 საბრძოლო ვაზნა, „ტე-ტე“-ს სისტემის 1 ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდით და 5 საბრძოლო ვაზნით, 400 გრ ფეთქებადი ნივთიერება ტროტილი, „ა-კა-ეს“-ის სისტემის 1 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 60 საბრძოლო ვაზნით.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

„არასაპარლამენტო ოპოზიციამ შანსი ხელიდან გაუშვა“

ფიქრია ჩიხრაძე კოლეგებს ფარულ გარიგებაში ამხელს და კახა კუკავასთან გაერთიანების მიზეზს ასახელებს

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყეს. ოპოზიციურ ფლანგზე გადაჯგუფების პროცესიც დასრულდა. ნინო ბურჯანაძის, ჯონდი ბაღათურიასა და ქდმ-ს გაერთიანების შემდეგ, ევროპელი-დემოკრატები, ედპ და ზურაბ ხარატიშვილის პოლიტიკური ორგანიზაცია, რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან ერთად ცალკე საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდა, ახალი მემარჯვენეები კი კახა კუკავასთან დაწყვილდნენ. თავისუფალი საქართველო და ახალი მემარჯვენეები საარჩევნო სუბიექტებად უკვე დარეგისტრირდნენ და შექმნეს ერთიანი საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, რომლის საარჩევნო ნომიერი იქნება №1 იქნება. ბლოკის თბილისის მერობის კანდიდატად კი, უკვე დასახელდა კახა კუკავა. „არასაპარლამენტო ოპოზიციამ“ ისიც გადაწყვიტა, საკონსტიტუციო სასამართლოში, უფასო პოლიტიკურ რეკლამებთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანოს და გააპროტესტოს გადაწყვეტილებს, რომლის თანახმად, მაუწყებლებზე უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის დრო მხოლოდ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების ნაწილს ეკუთვნით. ვის რა შანსი აქვს მოახლოებულ არჩევნებში და რატომ გადაწყვიტეს თავისუფალ საქართველოსთან ერთად საარჩევნო მარათონში ჩართვა, „ვერსიას“ ახალი მემარჯვენეების ლიდერი ᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ ესაუბრა.

— ოპოზიციურ ფლანგზე დიდი გაერთიანების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი პირადად ვიყავი და მოლაპარაკებებსაც თავად ვაწარმოებდი. გარკვეული ხნის განმავლობაში, კონსულტაციებში ყველა პოლიტიკური ძალა ლიდერებითურთ მოგვყვებოდა, მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ ზურგსუკან სხვა ტიპის ურთიერთობები და გარიგებები იმართებოდა. ბუნებრივია, ამ პროცესმა მოცემულობაც შეცვალა. მედიით შევიტყვე, რომ ბურჯანაძესა და ქდმ-ს შორის სხვა ტიპის ურთიერთობები ჩამოყალიბდა — ნინო ბურჯანაძემ პარტიების შერწყმა მოინდომა, რაზეც ქრისტიან-დემოკრატები დათანხმდნენ.

— თქვენ მსგავსი შემოთავაზება არ მიგიღიათ?

— ამაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მხოლოდ ფართო კოალიციის შექმნაზე ვლაპარაკობდით და არა ერთი, რომელიმე პარტიის გაძლიერებაზე. არასერიოზულია, როცა ასეთ ვითარებაში, ერთი ხელისმოსმით, ცალკე პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა, სადაც სრულიად განსხვავებული პოლიტიკური გემოვნებისა და შეხედულებების მქონე პარტიები გაწევრიანდნენ. ადგილობრივ არჩევნებში სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური ძალების გაერთიანება მისაღებია. თავს არავის ვესხმით, არც ვინმესთან კინკლაობას ვგეგმავთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ ხელიდან სერიოზული შანსი გაუშვა.

— ფაქტია, ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო არჩევნებისთვის პოზიციების გამყარებას ცდილობს. ყოფილი სპიკერის გარდა, სხვა პარტიების ლიდერებთან რატომ ვერ შეთანხმდით? ფაქტობრივად, არასაპარლამენტო ოპოზიციამ სამი გაერთიანება შექმნა და ერთმანეთს საარჩევნო ხმებს ართმევს.

— ერთი პარტიის გაძლიერებაზე ფიქრს, სჯობდა, ყველას ერთად, ადგილობრივ არჩევნებზე, არამხოლოდ ნაციონალური მოძრაობისთვის, კოალიციისთვის მნიშვნელოვანი კონკურენციის გაწევაზე გვეზრუნა. ზოგადად, ყველანი მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ვფიქრობთ, თუმცა ამ ეტაპზე სჯობდა, უფრო ადეკვატურები ვყოფილიყავით, მაგრამ რას ვიზამთ, დღეს რეალობა ასეთია. რაც შეეხება დანარჩენ პარტიებთან გაერთიანებას, რეალურად, ღია კარის პრინციპით ვიმოქმედეთ. სხვათა შორის, მოლაპარაკებები ამ ეტაპზეც მიმდინარეობს, მათ შორის, საზოგადოებრივ ჯგუფებთანაც, მაგრამ ჯერ ამაზე ვერ ვისაუბრებ.

— ირაკლი ოქრუაშვილს ხომ არ გულისხმობთ?

— არა, როცა საარჩევნო ბლოკი ჩამოვაყალიბეთ, ამაზე ინფორმაცია მაშინ გავრცელდა, მაგრამ გარწმუნებთ, ამ მიმართულებით არ ვფიქრობთ.

— კახა კუკავასთან გაერთიანებაც მოულოდნელი იყო, განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალები ხართ.

— დიახ, განსხვავებული შეხედულებების მქონე პარტიები მართლაც ვართ, მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის ფარგლებში, საპარლამენტო არჩევნებშიც ერთად ვმონაწილეობდით, ბოლო პერიოდში, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზეც ერთობლივად ვიმუშავეთ და არასაპარლამენტო ოპოზიცია პოლიტიკურ ველზე რეალურ მოთამაშედ დავამკვიდრეთ. ვიმეორებ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პოლიტიკური ძალებისგან საერთო მსოფლმხედველობას არ ითხოვს, თუმცა ბუნებრივია, უამრავი საკითხია, რაზეც ჩვენ და კახა კუკავას პარტიას დაახლოებული პოზიციები გვაქვს. ასე რომ, განსხვავების მიუხედავად, თავს საკმაოდ თავისუფლად ვგრძნობთ.

— ახლა თქვენი საგარეო კურსი კითხვისნიშნის ქვეშ არ დადგება? კახა კუკავას ხომ ალექსანდრე ებრალიძე აფინანსებდა და ის რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობას არც მალავს.

— კახას რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან გარკვეული ურთიერთობები მართლაც ჰქონდა, ახალ მემარჯვენეებს კი, არასოდეს გვქონია ილუზია, რომ ასეთი ურთიერთობებით ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება შესაძლებელია. დღესაც ასე ვფიქრობთ და არა მგონია, ახალი მემარჯვენეების პოლიტიკური ორიენტაცია კითხვის ნიშნისქვეშ დადგეს. ამ მიმართულებით მომავალშიც მყარ პოზიციაზე ვიქნებით.

— და მაინც, კახა კუკავასთან გაერთიანებით არჩევნებში გამარჯვების რა შანსი გაქვთ?

— სახელისუფლო ძალასთან შედარებით, ყველა ოპოზიციურ პარტიას ნაკლები რესურსი აქვს. კონკრეტულად თუ ვისაუბრებთ, ნაციონალურ მოძრაობას როგორც ყოფილ სახელისუფლო პარტიას, ფინანსური თვალსაზრისით სერიოზული ბერკეტები აქვს და მედიასთან წვდომაც გააჩნია. ფინანსური პრობლემა არც ნინო ბურჯანაძეს შეექმნება... მიუხედავად ამისა, თავს აბსოლუტურად სრულფასოვან კონკურენტებად მივიჩნევთ. საქართველოს მასშტაბით სერიოზულ კანდიდატურას წამოვაყენებთ როგორც პერსონალურ, ისე არჩევით თანამდებობებზე.

— თბილისში მეორე ტურის მოლოდინი გაქვთ?

— მეორე ტურის შანსი იმდენად რეალურია, ამას თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ მალავენ და ვერ გამორიცხავენ. ვფიქრობ, მეორე ტური აუცილებლად იქნება და ეს პრეცედენტი ქვეყნისთვის სასურველიც კია. ამას მხოლოდ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე არ ვამბობ. ზოგადად, ეს დემოკრატიის მიმართულებით, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

სანდრა რულოვსი საქართველოში გლობალური ფონდის პროგრამებს აღარ უხელმძღვანელებს

ჯანდაცვის პროგრამების მმართველობა, რომელსაც სანდრა რულოვსი ხელმძღვანელობდა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრმა გადაიბარა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით: „2014 წლის აპრილიდან, გლობალური ფონდის შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამების განხორციელებას იბარებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი. ჯანდაცვის სამინისტრო, გლობალური ფონდის პროგრამების საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან შეათანხმებს საბჭოს ხელმძღვანელობის ახალი არჩევნების პროცედურებს. საბჭოს დღემდე სანდრა ელისაბედ რულოვსი ხელმძღვანელობდა“.

სამინისტროს ინფორმაციით, გლობალურ ფონდთან საქართველოს თანამშრომლობა 2002 წლიდან იწყება. 2010-2013 წლებში საგრანტო პროგრამები არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ხორციელდებოდა, ხოლო 2014 წლიდან პროგრამა დაავადებათა კონტროლის ხელმძღვანელობაში გადადის, რაც მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნის პროგრამების ფინანსური მდგრადობისათვის. ტუბერკულოზის 11 მილიონი ევროს საგრანტო პროგრამას 1 აპრილს მოეწერა ხელი, ხოლო შიდსის პროგრამის 17.5 მილიონი ევროს საგრანტო ხელშეკრულება უახლოეს პერიოდში დასრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

ექსპორტზე 15 488 184 ბოთლი ქართული ღვინო გავიდა

2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტმა მსოფლიოს 19 ქვეყანაში, 15 488 184 ბოთლი შეადგინა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილის თქმით, ეს ციფრი, წინა წლის შესაბამისი პერიოდის აღნიშნულ მაჩვენებელზე 243%-ით მეტია. საექსპორტო ბაზრის პირველი ხუთეულია: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. აქედან, ექსპორტის მთლიან მოცულობაში რუსეთი 71%-ით ლიდერობს. პირველი კვარტლის მდგომარეობით, ექსპორტირებულია 51 202 154 აშშ დოლარის პროდუქცია, რაც 290%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პირველ კვარტალში, 9 ქვეყანაში ბრენდის ექსპორტმა 3 940 202 ბოთლი შეადგინა. ბრენდის ექსპორტი თანხაში 14 486 685 აშშ დოლარია, რაც 113%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის უკრაინა ლიდერობს, სადაც ექსპორტმა პირველ კვარტალში 2 504 520 ბოთლი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს რუსეთი, სადაც საანგარიშო პერიოდში 1 242 408 ბოთლი ბრენდია ექსპორტირებული.

„ინტერპრესნიუსი“

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

საქართველოს ბელგიელ ბიზნესმენთა დელეგაცია სტუმრობს. ბელგიის უმსხვილესი ბიზნესკომპანიების პირველ პირებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ბელგიელ ბიზნესმენებს საქართველოსადმი ინტერესისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ. საქართველოს ხელისუფლება ორიენტირებულია საკუთრების უფლებების დაცვაზე: **„ჩვენ ძალიან კმაყოფილნი ვართ, რადგან ვხედავთ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება რეალურად ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ბიზნესმენები და პოტენციური ინვესტორები, ინფორმაციას უშუალოდ ქვეყნის ხელმძღვანელებისგან იღებენ“,** — განაცხადა ბენჟამინ ვან ოუდენჰოვემ.

ბელგიის დელეგაცია, რომელსაც პრინცი ხუან ბაგრატიონი და ბენჟამინ ვან ოუდენჰოვე ხელმძღვანელობენ, ბელგიის 15-მდე წამყვანი ბიზნესკომპანიის პირველ პირებს აერთიანებს.

„ინტერპრესნიუსი“

სამი სცენარი უკრაინისთვის



„უკრაინის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივები ნაკლებადაა დამოკიდებული გეოპოლიტიკურ პრობლემებზე. სინამდვილეში, ქვეყნის ბედი ადგილობრივი პოლიტიკოსების ხელთაა, რომლებმაც უნდა აირჩიონ განვითარების საჭირო მოდელი“, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტები. ანალიტიკოსებმა, ნორვეგიის საგარეო საქმეთა ექსმინისტრ ესპენ ეიდესა და გერმანიის ეკონომიკის ექსმინისტრ ფილიპ რესლერის ხელმძღვანელობით, მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოვლენების გაანალიზების შემდეგ, ანგარიში გამოაქვეყნეს და უკრაინას სამი სავარაუდო სცენარი — პოზიტიური, საშუალო და კატასტროფული — უწინასწარმეტყველეს.

შეუქცევადი ოპტიმიზმი

მოვლენების პოზიტიური სცენარით განვითარების წინაპირობად შეიძლება იქცეს რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა: რუსეთთან დაპირისპირების შეწყვეტა, შიდარეგიონული ვაჭრობის გააქტიურება და ძირეული ანტიკორუფციული რეფორმების გატარება. ამ ყველაფერს ერთად, შეუძლია, მოიზიდოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიცია, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნების ინვესტორები დღეს ორიენტაციას კვლავ თავიანთი ქვეყნების ბაზრების განვითარებაზე იღებენ. **„ახალი, გაცილებით ღია და თავისუფალი სოციალური სისტემის პერსპექტივა გამოავლენს სამეწარმეო სულისკვეთებასა და ინოვაციურ პოტენციალს“**, — მიიჩნევენ ანგარიშის ავტორები. ამ შემთხვევაში, გვერდითი ეფექტი „არაეფექტური სახელმწიფო ხარჯის“ სეკვესტრი იქნება, სადაც უპირველესად, გაზის მიწოდების სუბსიდიები იგულისხმება. ამ ფონზე, მთავარია, რომ სოციალურ ხარჯებზე გადასვლა ხალხს მთავრობის მიმართ ნდობას დაუბრუნებს.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ სათბობენერგეტიკული კომპლექსის სეგმენტში, ამ მოსალოდნელი პროგრესის გარდა, უკრაინული ეკონომიკის დრაივად შეიძლება იქცეს სოფლის მეურნეობა; იგულისხმება როგორც ქიმიკატებისა და სასუქების წარმოების, ასევე მცირე და საშუალო ფერმერების შემოსავლის ზრდა. მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გაუმჯობესება ქვეყანაში არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების შედინებას გამოიწვევს, არამედ ინოვაციებისა და ნოუ-ჰაუს დანერგვასაც შეუწყობს ხელს, რაც, სამომავლოდ, უკრაინის ეკონომიკის განვითარების საფუძველი გახდება, — პროგნოზირებს ოპტიმისტური სცენარი.

უკან მომავალში

მომდევნო სცენარი ხასიათდება მიმდინარე ეკონომიკური ვითარების შენარჩუნება-შენახვით. „ფიქლების რეცოლუცია“, უმეტესად, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებში რჩება. მსოფლიო ეკონომიკა თითქოს სტაბილურად იზრდება, მაგრამ ფოლადის ინდუსტრიის ჭარბწარმოება და სავაჭრო კონფლიქტები ძირს უთხრის უკრაინის ეკონომიკის სტაბილურობას. პარალელურად, სტაბილურად იზრდება მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა, რაც სოფლის მეურნეობას ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორად აქცევს.

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტთა მოსაზრებით, ამ პირობებში, კიევის ახალი მთავრობა იძულებული გახდება, ქვეყნის ეკონომიკის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატაროს. ანტიკორუფციული რეფორმები პალეატიური იქნება, მსხვილი მეწარმეები კი კვლავ შეასრულებენ ხელისუფლების მარჯვენა ხელის ფუნქციას.

სოფლის მეურნეობის მზარდი როლის დამსახურებით, ეს სფერო კიევის ხელისუფლების მიერ ინვესტიციების მთავარ წყაროდ გადაიქცევა. აგრარული სექტორის დაჩქარებული განვითარება დაიწყება არა გააზრებული რეფორმების შედეგად, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად „ამოივსოს ხვრელები ბიუჯეტში“. ანალიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ საბოლოოდ, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა დარჩება ისეთივე, როგორიც იყო ბოლო წლებში, უკრაინის დამოუკიდებლობის პერიოდში; უცვლელი იქნება კორუფციის მაღალი დონეც.

მალე უკრაინა გახდება მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი აგრარული ცენტრი, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან აქცენტის სოფლის მეურნეობის დახმარებაზე გადატანა ეკონომიკის სხვა სექტორების სტაგნაციას გამოიწვევს, ასევე გაართულებს მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობას, რაც, საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ანალიტიკოსთა აზრით, სერიოზულად შეაფერხებს უკრაინის ეკონომიკის ზრდის გრძელვადიან პერსპექტივას.

უფსკრულის პირას

თუ ენერგომატარებლების ფასი მაღალი დარჩება, მეტალზე მოთხოვნა კი მინიმალური, თუ გეოპოლიტიკური დაძაბულობა შენარჩუნდება, მაშინ უკრაინაში მესამე, ყველაზე არახელსაყრელი სცენარი გათამაშდება: არსებული პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები მწვავე დებატებსა და ერთმანეთთან გაჩაღებულ ბრძოლას გააგრძელებენ. სეპარატიზმის ჩახშობისა და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხები განუსაზღვრელი ვადით გადაიწევს და ეს უპრინციპო პოლიტიკოსების „დამსახურება“ იქნება, რომლებიც მხოლოდ პირადი მიზნების განხორციელებაზე ფიქრობენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი აკეთებს პროგნოზს, რომ ასეთ პირობებში უკრაინის საკრედიტო რეიტინგი შეიძლება კვლავ შემცირდეს, მაგრამ ქვეყანა ამას ყურადღებას არ მიაქცევს — ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებაში წარმოქმნილი ქიშპობითა და კლეპტოკრატთა ერთი ჯგუფის მეორით ჩანაცვლებით იქნება დაკავებული. გაშვებული შესაძლებლობებისა და მუდმივად ცვალებადი პოლიტიკის პირობებში კი, მოსალოდნელია კაპიტალისა და „ტვინების“ გადინება გაცილებით სტაბილურ ქვეყნებში, თუნდაც ისეთებში, რომლებსაც განვითარების ნაკლები პოტენციალი აქვთ.

არასახარბიელო ბიზნესგარემო შეაფერხებს ისეთი სფეროების განვითარებასაც კი, როგორშიც უკრაინის პოზიციები, ტრადიციულად, ძლიერია — პირველ რიგში, სოფლის მეურნეობა და IT-ინდუსტრია... ინფრასტრუქტურის კრახი და რთული საბაჟო წესები ექსპორტისგან მიღებულ შემოსავალს უფრო შეამცირებს. ენერგომატარებლებისა და ზოგიერთი ნედლეულის ექსპორტზე დამოკიდებულება, უკრაინას არ მისცემს საშუალებას, იყოს კონკურენტუნარიანი, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება, ხოლო სურვილი, უკრაინა ვალიდან ამოვიდეს, ხელისუფლებას იძულებულს გახდის, მეტი კრედიტი აიღოს. გაკოტრების პირას აღმოჩნდება სახელმწიფო კორპორაციებიც, განსაკუთრებით ენერგოსექტორში.

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში წერია, რომ „პოლიტიკოსების პოპულისტური მცდელობა — გაამართლონ თავისი უმოქმედობა, მოსახლეობას საერთო აპათიამდე მიიყვანს, ეკონომიკურ სტაგნაციას კი სულიერი დაცემაც დაემატება. კრიზისი ქვეყანაში ქრონიკული გახდება, რაც მოსახლეობის პოლარიზებას გამოწვევს და ნაციონალურ კონსენსუსს დაკარგავს.

ნატო სამხედრო ზომებს ამკაცრებს, საქართველო თავს დაცულად არ გრძნობს

უკრაინაში შეტაკებები გრძელდება. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკვე ღიად აცხადებს, რომ ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზეა. უკრაინის შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი არსენ ავაკოვი კი, ავრცელებს ინფორმაციას, რომ ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილზე შტურმის საპასუხოდ შსს-ს ქვედანაყოფებმა თავდამსხმელების ლოკალიზაციის ოპერაცია ჩაატარეს.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც სამხედრო ნაწილზე ცეცხლგამჩენი ნაღმებისა და „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა დაიწყეს, ეროვნული გვარდიის წევრებმა გამაფრთხილებელი საპასუხო ცეცხლი გახსნეს, თუმცა შეტევის განმეორების შემდეგ უკვე თავდამსხმელებს უპასუხეს: **„მილიციისა და ეროვნული გვარდიის ერთობლივი ძალისხმევით, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ თავდამსხმელთა ჯგუფი ლოკალიზებული და განიარაღებულია. შსს-ს მოსამსახურეთა შორის მსხვერპლი არ არის. წინასწარი მონაცემებით, მოკლულია 3 ბოევიკი, 13 დაჭრილია, 63 კი დაკავებული. ამოღებულია იარაღი, კავშირის საშუალებები და რუსული ოპერატორების ტელეფონები. მიმდინარეობს დაკავებულთა ვინაობის დადგენა. ოპერაცია გრძელდება. შსს-ს ქვედანაყოფები ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების დევნას აგრძელებენ, ქუჩებში მილიცია პატრულირებს“.**

უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით, საპასუხო სამხედრო ზომები გაატარა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმაც. ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, ნატო-ს მოკავშირეებმა გადაწყვეტილება ახლახან მიიღეს. **„განვსაზღვრეთ სამომავლო ღონისძიებები უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს უფრო მეტ თვითმფრინავს ჰაერში, უფრო მეტ გემს წყალში და უფრო მეტ მომზადებას ხმელეთზე“**, — აცხადებს რასმუსენი.

მისივე თქმით, თვითმფრინავები უფრო ხშირ ფრენას განახორციელებენ ბალტიისპირეთის ქვეყნების საჰაერო სივრცეში, ნატო-ს მოკავშირეების გემები ბალტიის ზღვაში, ასევე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით განთავსდებიან: **„ნატო-ს მოკავშირე ქვეყნები გადადგამენ ნაბიჯებს ჩვენი საბრძოლო მზადების გამტკიცებისთვის, გაფართოვდება წვრთნები და მანევრები“.**

უკრაინის მოვლენებს საქართველოს პრეზიდენტიც ეხმაურება. „როიტერში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით — **„უკრაინაში რუსეთის მოქმედებების შემდეგ საქართველო თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს“.** გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ, საქართველო მისი უსაფრთხოების გამო შეშფოთებულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში 6 წლის წინ რუსეთის ინტერვენცია განხორციელდა.

მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო გეგმავს მოაწეროს ხელი ასოცირების შეთანხმებას ივნისში, რათა განამტკიცოს კავშირი ევროკავშირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგივე შეთანხმების გაფორმების მცდელობამ უკრაინაში კრიზისი გააჩაღა: **„ჩვენ არ ვგრძნობთ თავს დაცულად, რადგან ზოგიერთი ძირითადი საშუალება, რითიც ქვეყნები ერთმანეთს უკავშირდებიან, კითხვისნიშნის ქვეშ დადგა. საქართველო, რომელიც გახდა რუსეთის ძალიან მკაცრი საგარეო პოლიტიკის მსხვერპლი ექვსი წლის წინ და რომელსაც ჯერ კიდევ ძალიან რთული ურთიერთობა აქვს რუსეთის ფედერაციასთან, ბუნებრივია, ძალიან შეშფოთებულია უკრაინის პრეცედენტის გამო“.**

„ვერსიანიუსი“

აძვში დაკავებული ქართველი ჟურნალისტები გაათავისუფლეს

სოფელ აძვში რუსი ოკუპანტების — მიერ 15 აპრილს დაკავებული TV3-ის გადამღები ჯგუფი თავისუფალია.

გადამღები ჯგუფის წევრები ბელა ზაქაიძე, ვახო ლეკიაშვილი და მიხეილ მიხოევი ქართულ მხარეს 16 აპრილს, ერგნეთის საგუშაგოსთან გადმოსცეს, სადაც მათ ქართული მხარისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ახლობლები დახვდნენ.

მანამდე, დაკავებულები ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში ჰყავდათ გადაყვანილი.

TV3-ის ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე, ოპერატორი ვახო ლეკიაშვილი და ტელეკომპანიის ტექნიკური თანამშრომელი მიხეილ მიხოევი 15 აპრილს სოფელ აძვში საზღვრის გადმოწევის ფაქტის გასაშუქებლად იყვნენ ჩასულები, როდესაც რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა დაიკავეს. მოგვიანებით, ისინი ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს და იმავე დღეს ოჯახის წევრებთან საუბრის საშუალება მისცეს.

ოკუპანტების პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ჟურნალისტმა ბელა ზაქაიძემ პატიმრობის პირობებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, თუმცა იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა: **„ორი დღე ვიყავით წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო. ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ. ვითარება იყო მძიმე, არაადამიანური, არაჰიგიენური... ასევე, ძალიან ციოდა. მთელი დღის განმავლობაში საკვები მხოლოდ დღის ბოლოს მოგვაწოდეს. მხოლოდ ჩაისა და პურზე ვიყავით. სხვადასხვა პირები რაღაცებს გამოგვძახებდნენ ხოლმე. გავყავდით საკნიდან... პირადად მე რამდენჯერმე გამიყვანეს. ზუსტად არ ვიცი, რომელი უწყების წარმომადგენლები იყვნენ. რამდენჯერმე დაგვკითხეს, ხშირად გვესაუბრებოდნენ. ზეწოლას ახდენდნენ. ხშირად გვეკითხებოდნენ, პირველად ხარ თუ არა სამხრეთ ოსეთშიო. ვეუბნებოდი, პირველად ვარ და იმ სოფელშიც, აძვში პირველად ვიყავი-თქო, თუმცა ამბობდნენ, რომ აქვთ ბაზა, სადაც ვფიქსირდებოდი, თითქოს ადრეც ვიყავი იქ ნამყოფი. როცა იქ მყოფ პირებს ვუთხარი, საკანში საშინელი, გაუსაძლისი პირობებია, აქ არ შეიძლება გაჩერება-თქო, ცინიკურად მპასუხობდნენ. მეუბნებოდნენ: „სუნია?! სუნი გაწუხებს?!“ თუმცა, იყო ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც დამამახსოვრდა. ის ქართულად გველაპარაკებოდა, საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო და თავაზიანად გვექცეოდა“.**

ჟურნალისტების გათავისუფლების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საჯაროდ გადაუხადეს მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პრობლემის მოგვარებაში იყო ჩართული. ფაქტს მიესალმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც, რომელმაც ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა: **„მათი გათავისუფლების ხელშესაწყობად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დაუყოვნებლივ აამოქმედა ცხელი ხაზი და მუდმივ კონტაქტზე იყო ყველა მხარესთან, ჟურნალისტების გათავისუფლებამდე.**

აღდგომის დღესასწაულის პერიოდში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ყველა მხარეს მოუწოდებს მაქსიმალური შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემისკენ, რაც საშუალებას მიცემს ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნოს მართლმადიდებელ მორწმუნეთათვის ეს მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაული საერთო ტრადიციების შესაბამისად, მშვიდ და უსაფრთხო გარემოში“.

„ვერსიანიუსი“

თაღლითური სქემა, რომლითაც ბინის კანონიერ მფლობელს საკუთრებას ართმევენ

ვინ არის შპს „კავუნიტექსის“ დირექტორი მალხაზ მირცხულავა და რა კავშირი აქვს ქართუ ბანკის გაკოტრებასთან?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისში, ხილიანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დააყადაღა. ეს ის ცნობილი კორპუსია, რომელიც შპს „კავუნიტექსმა“ ააშენა და სადაც კომპანიის დირექტორის, მალხაზ მირცხულავას თაღლითობის შედეგად, თითოეულ ბინას ერთდროულად 5-6 მესაკუთრე ჰყავს. „ვერსია“ ერთ-ერთი მესაკუთრის, დავით ახობაძის საქმით დაინტერესდა და მის ადვოკატს, გიორგი ტურაზაშვილს დაუკავშირდა. ადვოკატის განცხადებით, წლების განმავლობაში, თბილისში სხვადასხვა დეველოპერული კომპანია მოქმედებდა, სადაც საეჭვო რეპუტაციის მქონე არასტაბილური პირები იყვნენ დასაქმებულები. ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა შპს „კავუნიტექსი“, რომლის დირექტორის, მალხაზ მირცხულავას მაქინაციების შედეგად, პატიოსან მესაკუთრეებს არაერთი ბინა წაართვეს.

ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ „კავუნიტექსის“ მიერ, ხილიანის ქუჩაზე მდებარე კორპუსის მობინადრეები, დავით ახობაძე და მაკა ჯინიუზაშვილი, მალხაზ მირცხულავას თაღლითობის მსხვერპლნი არიან. მისი თქმით, ამ პირებსა და „კავუნიტექსის“ კიდევ ერთ კრედიტორს, მოქალაქე ჟიჟიაშვილს შორის, სასამართლო წესით მიმდინარეობს დავა, რომელიც ახობაძისა და ჯინიუზაშვილის სასარგებლოდ დასრულდა. მაკა ჯინიუზაშვილი, დავით ახობაძის ყოფილი მეუღლეა და ეს ბინაც სწორედ მის სახელზეა გაფორმებული, რაც დავით ახობაძის მამის საქორწინო საჩუქარი უნდა ყოფილიყო.

„ვერსიასთან“ საუბრისას, დავით ახობაძის ძმა, ოთარ ახობაძე აცხადებს, რომ 1996 წელს, მამამისსა და მალხაზ მირცხულავას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ხილიანის ქუჩაზე მშენებარე კორპუსში, უფროსმა ახობაძემ შვილს ბინა უყიდა. მშენებლობა წლების განმავლობაში გაიწელა და როდესაც დასრულდა, დავით ახობაძემ გაარკვია, რომ მის კუთვნილ ბინაში, მე-9 სართულზე, მოქალაქე ჟიჟიაშვილი ცხოვრობდა, რომელმაც ამავე კორპუსში, ოღონდ მე-8 სართულზე შეიძინა ბინა. საბოლოოდ გაირკვა, რომ „კავუნიტექსის“ მფლობელმა მალხაზ მირცხულავამ, ჟიჟიაშვილის კუთვნილ ბინაში სხვა ოჯახი შეასახლა, მოგვიანებით კი ჟიჟიაშვილი ახობაძეების ბინაში გადაიყვანა. სასამართლო პროცესი 5 წელი გაგრძელდა. ამ პერიოდში ახობაძე მოთმინებით ელოდა პროცესის დასრულებას. არავითარი ზომებისთვის მიუმართავს, რომ მისი კუთვნილი ბინიდან ჟიჟილაშვილი გაესახლებინა, ეს უკანასკნელი კი, სასამართლოს პროცესის მიუხედავად, სხვის ბინას არემონტებდა.

2004 წელს, სასამართლო პროცესი ახობაძე-ჯინიუზაშვილის სასარგებლოდ დასრულდა. სასამართლოს დასრულებისთანავე, დავით ახობაძემ და მაკა ჯინიუზაშვილმა, კუთვნილი ბინა დაიბრუნეს და საჯარო რეესტრშიც დაარეგისტრირეს.

„მას შემდეგ, რაც ჟიჟიაშვილი დარწმუნდა, რომ მალხაზ მირცხულავასგან ბინას ვერ მიიღებდა, გადაწყვიტა, სასამართლოსთვის მიემართა და წლების მანძილზე, სხვის ბინაში ჩატარებული რემონტის ხარჯის ანაზღაურება მოეთხოვა. იმ პერიოდში, ჩემს ძმას დავით ახობაძეს სხვა ადვოკატი ჰყავდა, რომელსაც ეს ფაქტი გამორჩა და სასამართლომ ახობაძეს 100 000 ლარის გადახდა დააკისრა. სინამდვილეში, ჟიჟიაშვილმა, მირცხულავას დახმარებით, ექსპერტიზის დასკვნა გააყალბა, თორემ იმ ბინის რემონტში, მაქსიმალური თანხა, რაც სასამართლოს უნდა მოეთხოვა, 50 000 ლარი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ჩემი ძმა ამ თანხას ვერ გადაიხდიდა, ამიტომ ერთადერთი გზა რჩებოდა — ბინა აუქციონზე გაეტანათ. ამას კი ვერ მოახერხებდნენ, რადგან კორპუსი დაყადაღებულია. ახობაძე-ჯინიუზაშვილი ერთადერთი დაზარალებულები არ არიან. ამ კორპუსის ყველა მობინადრეს ანალოგიური პრობლემა აქვს, რადგან, როგორც უკვე გითხარით, მალხაზ მირცხულავას თაღლითობის შედეგად, თითოეულ ბინას რამდენიმე მესაკუთრე ჰყავს და სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა კორპუსი დააყადაღა. როდესაც ჟიჟიაშვილი მიხვდა, რომ ვერც ამ თანხას გადაუხდიდნენ, ისევ მირცხულავას დახმარებით, სხვა სარჩელი გაამზადა და ჩემი ძმის კუთვნილი ბინის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა“, — გვიამბობს **ოთარ ახობაძე**.

მისი თქმით, მალხაზ მირცხულავამ გამოძიებას შეგნებულად მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და განაცხადა, რომ ხელშეკრულება, რომელიც 1996 წელს, ახობაძის მამასა და მას შორის გაფორმდა, 2003 წელს გააყალბა, თანამონაწილედ კი დავით ახობაძე დაასახელა. ოთარ ახობაძე აცხადებს, რომ არსებობს ხელშეკრულების ორიგინალი, რომელიც რეალურად, 1996 წელს გაფორმდა და, რომელსაც ხელს მაკა ჯინიუზაშვილი და მალხაზ მირცხულავა აწერენ: **„გამომძიებლები და პროკურორები ჩემს ძმაზე ახდენენ ზეწოლას. ისინი მისგან ითხოვენ აღიაროს, რომ თავის დროზე, დოკუმენტები მირცხულავასთან ერთად გააყალბა და ამ კორპუსში ბინა გაყალბებული დოკუმენტებით შეიძინა. ამ საქმეში ბევრი შეუსაბამობაა. თუ ჩემი ძმის ბინა მართლაც ჟიჟიაშვილისაა, რატომ თავიდანვე არ მოითხოვა მისი დაბრუნება და რატომ შეიტანა სარჩელი სარემონტო თანხის ანაზღაურების მიზნით? სასამართლოს სამი ინსტანცია გაიარა ამ საქმემ და რატომ თავიდანვე არ თქვა მალხაზ მირცხულავამ, რომ დოკუმენტები გააყალბა? ამ ბინის ხელში ჩაგდება მაშინ გადაწყვიტეს მირცხულავამ და ჟიჟიაშვილმა, როდესაც მიხვდნენ, რომ 100 000 ლარს ჯერ ვერ დაიბრუნებდნენ, არადა, მირცხულავამ ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, თვითონვე აღიარა, რომ ამ ბინის ერთადერთი მესაკუთრე მაკა ჯინიუზაშვილია. სამწუხაროდ, მამა უკვე გარდაცვლილია და შესაბამისად, ამ საქმეში მოწმეც აღარ არსებობს. სამაგიეროდ, ხელთ გვაქვს ხელშეკრულების ორიგინალი, რომელიც 1996 წლითაა დათარიღებული. გამოძიებას ვთხოვთ, ეს დოკუმენტი ნებისმიერ ექსპერტიზაზე შეამოწმოს და თავად დარწმუნდეს. დღეს, ჩემს ძმას ბრალი ედება გაყალბების თანამონაწილეობაში, რადგან გამოძიება თაღლითი მირცხულავას ცრუ ჩვენების გამო დაიწყეს“.**

მისი თქმით, გამომძიებლები აიძულებენ ახობაძეს, ბრალი აღიაროს, რადგან ვერაფრით ამტკიცებენ, რომ ეს ბინა მისი არ არის! გამოძიება ზეწოლას ახდენს ახობაძის ყოფილ მეუღლეზეც, რომელსაც ნერვიულობის გამო, ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნა: **„ერთ დღეს, ჩემი ძმის ყოფილ მეუღლეს გამომძიებლებმა სახლში მიაკითხეს და დაკითხვაზე წაიყვანეს. ესეც ფსიქოლოგიური ზეწოლის ერთ-ერთი მექანიზმია, თორემ თავისუფლად შეეძლოთ, უწყება გაეგზავნათ და დაკითხვაზე დაებარებინათ, მით უმეტეს, რომ ისიც, მეც და ჩემი ძმაც არაერთხელ გამოვცხადდით დაკითხვაზე. ამ ხნის განმავლობაში, არც ჩემს ძმას და არც მის ყოფილ მეუღლეს, გამოძიებისთვის ხელი არ შეუშლიათ, დაბარებისთანავე ცხადდებოდნენ გამომძიებელთან და ჩვენებებსაც აძლევდნენ. იმ საღამოს, როდესაც ჩემი ყოფილი რძალი გამომძიებლებმა დაკითხვაზე წაიყვანეს, დათომ ყოფილ მეუღლეს მიაკითხა, გამომძიებელმა გააჩერა და უწყება ჩააბარა.**

დასასრული მე-7 გვერდზე

ვაკეში „სმარტი“ და „ვენდი“ გაიხსნა

„ვისოლ ჯგუფის“ საალდგომო საჩუქარი თბილისელებისთვის

„ვისოლ ჯგუფმა“ თბილისელებს საალდგომოდ სასიამოვნო საჩუქარი გაუკეთა — ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, სამების ტაძრის მიმდებარედ, „სმარტი“ და „ვენდი“ გაიხსნა. სუპერმარკეტებისა და ამერიკული რესტორნის ქსელის ახალი ობიექტების გახსნის საზეიმო ცერემონიალს, „ვისოლისა“ და „ვენდის“ წარმომადგენლების გარდა, ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, თბილისის მერიის მაღალჩინოსნები და ბიზნესმენებიც ესწრებოდნენ. სტუმრების რაოდენობას კი, აშკარად გადააჭარბა იმ მოქალაქეების რიცხვმა, რომლებიც მოთმინებით ელოდნენ, „სმარტისა“ და „ვენდის“ ლოგოსფერებიან საჰაერო ბურთებით მორთული ობიექტების შესასვლელში, როდის გაიჭრებოდა ლენტი და შესვლას როდის შეძლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ლენტის გაჭრისთანავე „ვენდის“ რესტორანი ხალხით აივსო, „ვენდის“ პირველი მომხარებელი რიჩარდ ნორლანდი გახლდათ — ელჩმა ბურგერი შეუკვეთა და დააგემოვნა კიდეც. შემდეგ სტუმრებმა ობიექტების ინტერიერი, დახლებზე წარმოდგენილი უამრავი პროდუქცია დაათვალიერეს და სტუმრებს შთაბეჭდილებებიც გაუზიარეს.

„ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების ქსელის განვითარება ახალ ფაზაში შედის. ვაკეში, „სმარტისა“ და „ვენდის“ ობიექტებში თითოეული დეტალი მომხმარებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს, რა მნიშვნელოვანია ჩვენთვის სიტყვა „ხარისხი“. „ვისოლ ჯგუფის“ სავაჭრო ცენტრი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე შეგნებულად გავხსენით — ვაკის მომხმარებლებს საალდგომო საყიდლებისთვის ყველაზე კომფორტული გარემო შევუქმენით. ყველაზე მნიშვნელოვანი — მიუხედავად იმისა, რომ „ვისოლს“ ათასობით ადამიანი ჰყავს დასაქმებული, პირველი დღეა, როცა ერთბაშად 300 სამუშაო ადგილი შევქმენით. ჩვენთვის ეს ფაქტი ყველაზე ღირებულია. „ვისოლი“ ერთი დიდი ოჯახია და მიხარია, რომ ამ ოჯახს, კიდევ 300 წევრი შეემატა. ეს არიან ადამიანები, რომლებიც თბილად, ღიმილით მოგემსახურებიან“, — განაცხადა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა **სოსო ფხაკაძემ**.

ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა კი, „სმარტისა“ და „ვენდის“ ახალი ობიექტების გახსნას უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა და „ვისოლ ჯგუფს“ ამ სასიამოვნო სიახლის გამო, მადლობა გადაუხადა. **რიჩარდ ნორლანდი: „დღეს, „ვისოლს“ წარმატებულ ისტორიაში, ახალი ეტაპი დაიწყო. „ვენდის“ რესტორანი და სუპერმარკეტი „სმარტი“ აუცილებლად მოიზიდავს ძალიან ბევრ ადამიანს. მნიშვნელოვანია, რომ 300 ადამიანი დასაქმდა. თანაც, ახალგაზრდები, რომლებიც არიან კრეატიულები და ბიზნესზე ორიენტირებულები. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას. ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, რომელიც შედგა სამ მხარეს შორის — წარმატებულ ქართულ კომპანია „ვისოლს“, ასევე წარმატებულ ამერიკულ კომპანია „ვენდისა“ და აშშ-ს მთავრობას შორის, რომელმაც ოპიკის კორპორაციის მეშვეობით ამ ბიზნესწამოწყების ფინანსური გარანტიები უზრუნველყო. ეს არის ის საუკეთესო მოდელი, რომლის მეშვეობითაც, ჩვენი ქვეყანა თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. დღევანდელი გზავნილი კი ასეთია — საქართველო ღიაა ბიზნესისთვის“.**

ვაკის ობიექტი „სმარტისთვის“ მეცამეტე სუპერმარკეტია, ხოლო „ვენდის“ ამერიკული რესტორანი თბილისში უკვე მეორეა. „სმარტის“ სუპერმარკეტის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ფართო არჩევანი და ზომიერი ფასები, კომფორტული „სმარტკაფე“ სრული მომსახურებით, ინტერნეტზონა (Wi-Fi), აფთიაქი, ბანკის ფილიალი და სხვადასხვა ტიპის მაღაზიები, „ვენდის“ ამერიკულ რესტორანთან ერთად მომხმარებელს სრულ კომფორტს შეუქმნის. აქვეა 4500 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსებული პარკირების ზონა, რაც „სმარტსა“ თუ „ვენდისში“ სტუმრობას უფრო მეტად სასურველსა და კომფორტულს გახდის.

„ვისოლ ჯგუფმა“ სუპერმარკეტების ქსელის „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ბათუმში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე. „ვენდის“ პირველი რესტორანი კი, „ვისოლ ჯგუფმა“ 2013 წელს რუსთაველის გამზირზე გახსნა. „ვენდის“ რიგით მეორე რესტორანს ვაკეში, გახსნის წუთიდან უამრავი მომხმარებელი მიაწყდა. გაზაფხულის თბილ ამინდში, გარემაგიდებზეც, ადგილს ვერ იპოვიდით. მომხმარებლებს, განსაკუთრებით აინტერესებდათ მსოფლიოში ყველაზე მაცდუნებელ, მადისაღმძრველ ბურგერად მონათლული, ფრანგული ბრიოშეს ფუნთუშით მომზადებული „პორტაბელა მელთის“ დაგემოვნება — ეს სწორედ ის სიურპრიზია, რომელიც „ვენდიმ“, ერთგულ სტუმრებს, ამერიკული რესტორნების ქსელის ახალი ობიექტის ვაკეში გახსნის დღიდან შესთავაზა.

ნინო ლურსმანაშვილი

თაღლითური სქემა, რომლითაც ბინის კანონიერ მფლობელს საკუთრებას ართმევენ

მე-6 გვერდიდან

საღამოს 11 საათი იყო და უთხრეს, რომ დილის 10 საათზე დაკითხვაზე უნდა გამოცხადებულიყო, რაც ჩემმა ძმამ გააპროტესტა — უწყება არ გამოართვა, რადგან მისთვის ასეთი ფორმა მიუღებელი იყო. სამწუხაროდ, გამომძიებელმა ოქმი დაწერა და აღნიშნა, რომ დავით ახობაძე დაკითხვაზე არ გამოცხადდა. მეორე დღეს, ჩემი ძმა მართლაც ვერ გამოცხადდა დაკითხვაზე, რადგან დილით ისე შეუძლოდ გახდა, სასწრაფო დახმარება გამოიძახა. სამაგიეროდ, გამომძიებელს ჩვენება მე მივეცი. როდესაც ჩემი ძმა გამოჯანმრთელდა, გამომძიებელს ჩვენება მანაც მისცა, მაგრამ იმის გამო, რომ მეორე დღეს დაკითხვაზე ვერ მივიდა, სასამართლოში ეს ფაქტი მის წინააღმდეგ გამოიყენეს და განაცხადეს, გამომძიებას დაემალაო. არადა, გამომძიებელი საქმის კურსში იყო და ისიც იცოდა, რომ დავით ახობაძეს სასწრაფო დახმარების გამოძახების ქვითარიც ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც 30 000-ლარიანი გირაო შეუფარდა, რათა გამოძიებას არ დაემალოს, ქვეყნიდან არ გაიქცეს და მოწმეებზე ზეწოლა არ განახორციელოს“.

ადვოკატმა გიორგი ტურაზაშვილმა „ვერსიას“ განუმარტა, თუ რატომ ვერ მოასწრეს სასამართლო პროცესზე იმ ქვითრის წარდგენა, რომელიც ადასტურებდა, რომ ახობაძემ სასწრაფო დახმარება გამოიძახა. პროცესამდე ზუსტად ერთი საათით ადრე, ადვოკატს დაურეკეს და უთხრეს, რომ ერთ საათში, სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო დავით ახობაძესთან ერთად. ბუნებრივია, ამ მოკლე დროში, ყველა დოკუმენტის წარდგენა ვერ მოასწრეს. გიორგი ტურაზაშვილმა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც მთელი რიგი ახალი დოკუმენტაცია წარადგინა. მოსამართლე გელა ბადრიაშვილმა არ იმსჯელა წარდგენილ დოკუმენტებზე და გამოიტანა დაუსაბუთებელი განჩინება, რომლითაც სასამართლოს გადაწყვეტილება 30 000 ლარის გირაოს შესახებ, ძალაში დატოვა:

„გაუგონარი რამ ხდება, გამოძიებამ ბრალი წაუყენა დავით ახობაძეს იმ ფაქტებზე, რაც წლების წინ, სასამართლომ კანონიერად მიიჩნია. ეს ბინა რომ მართლაც ახობაძის საკუთრებაა, საჯარო რეესტრის რეგისტრაციაც ადასტურებს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური კი, სასამართლოს მიერ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ეწინააღმდეგება, რაც საერთოდ ნონსენსია. 1996 წლიდან, მალხაზ მირცხულავა ხმას არ იღებდა. სასამართლო დავის ისტორიით ირკვევა, რომ მირცხულავას ან ჟიჟიაშვილს, რომელიმე დოკუმენტის სიყალბეზე, სასამართლოსთვის არასოდეს მიუმართავთ, თუმცა დღეს, 2014 წელს აცხადებს, რომ თავად გაუყალბებია დოკუმენტი. სახიფათოა, როდესაც გამოძიება არაკომპეტენტურია, პატივს არ სცემს სასამართლო გადაწყვეტილებას და ევროპული სასამართლოს ენით, „თვითნებობას“ ავლენს. ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ ყველა კანონიერ საშუალებას, მივმართავთ როგორც ზემდგომ ინსტანციებს, ასევე შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სახალხო დამცველსაც“.



N 01.10.17.042.026.01.053

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია N 882013476032 - 01/10/2013 16:29:44

მომზადების თარიღი 01/10/2013 17:43:24

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
01	10	17	042/026	01/053

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დამუშავებული ფართობი: 1378.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.17.042.002;
შენობა-ნაგებობები: N1, N2

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882008186501 , თარიღი 18/06/2008 16:04:20
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/07/2008

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
- გადაწყვეტილება N1ა-ქმე N2/923 , დამოწმების თარიღი:15/04/2003 , ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო

მესაკუთრეები:
მაკა ჯინოსაშვილი(დან 25/01/1971) ,P/N: 01011060631

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
მაკა ჯინოსაშვილი	საკუთრება	ფართი(მშენებარე) სართული9,ბინა N53,კორპუსი N3	130.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

- ყადაღა: 102013231461 11/09/2013 12:35:22
  ჯინოსაშვილი მაკა {პ/ნ 01011060631}
  საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჭიათურა 4/6, კორპუსი 3, ბინა 53, 01.10.17.042.026.01.053
  საფუძველი: მოსამართლე, NA13052967-006/005, 10.09.2013, თბილისის საალმრეულოს ბიერო
- ყადაღა: 102011156762 15/08/2011 16:27:38
  ჯინოსაშვილი მაკა {პ/ნ 01011060631}
  საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჭიათურა 4/6, კორპუსი 3, სართული 9, ბინა 53, 01.10.17.042.026.01.053, წინა საკადასტრო კოდი 01.10.17.042.002.01.053
  საფუძველი: განჩინება, N3322-11, 10.08.2011, თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- ყადაღა/აკრძალვა: ბრძანება, N12/6652, 22.11.2005, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია განჩინება, N12/4352, 29.04.2011, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია

მოვალეთა რეესტრი:

- მოვალე:DE13073701 06/09/2013 11:51:51
  მაკა ჯინოსაშვილი 01011060631
  საფუძველი: აღმასრულებელი: თამთა სურგულაძე სუბიექტის დამაგება მოვალეთა რეესტრში 06.09.2013 # A13052967-005

P.S. *ვინ არის მალხაზ მირცხულავა და რატომ ცდილობს, ბინა წაართვას მესაკუთრეს, რომელიც წლების განმავლობაში, სხვადასხვა მედიასაშუალებებში კომრციულ დირექტორად მუშაობდა? რეალურად, გამოძიებისთვის ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან კანონის წინაშე ნებისმიერი ადამიანი თანასწორია, მაგრამ გაუგებარია, რატომ აშანტაჟებენ ადამიანს, რომელსაც ნებისმიერი გაზეთი თუ მედიასაშუალება გვერდით დაუდგება და სოლიდარობას გამოუცხადებს? თანაც, გამოძიებისთვის კარგადაა ცნობილი მალხაზ მირცხულავას თაღლითური სქემა. სხვათა შორის, „ვერსიამ“ ჟურნალისტური მოკვლევაც ჩაატარა და დაადგინა, რომ ეს სწორედ ის მალხაზ მირცხულავაა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ქართუ ბანკის გაკოტრების სქემაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ქართუ ბანკისა და „ქართუ ჯგუფის“ ქონების დროებითმა მმართველმა, ვლადიმერ უგულავამ, ბიძინა ივანიშვილის ყოფილ ბანკში დროებით, ანუ 13-დღიან პერიოდში ყოფნისას, მოახერხა და 4 დეველოპერულ კომპანიას (მათ შორის, მალხაზ მირცხულავას კომპანიასაც) 50 000 000 ლარის სასესხო ხელშეკრულება გაუფორმა. თუ ქართუ ბანკი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებდა, „ქართუში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია შევიდოდა, მაგრამ ბანკს ეს თანხა რომ გადაეხადა კიდეც, გაკოტრდებოდა. ვლადიმერ უგულავას, როგორც ქართუ ბანკისა და „ქართუ ჯგუფის“ ქონების დროებით მმართველს, ამ ტიპის ხელშეკრულების გაფორმების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და სარჩელით სასამართლოს მიმართა. ახალი ხელისუფლების პირობებში, მალხაზ მირცხულავა ბინის კანონიერ მფლობელს თაღლითობის თანამონაწილედ ასახელებს და გამოძიება მიზანმიმართულად შეცდომაში შეჰყავს. წესით, პროკურატურა, გამოძიება და ზოგადად, სამართალდამცავები მალხაზ მირცხულავას პერსონით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, ბოლოს და ბოლოს, ქართუ ბანკის გაკოტრების სქემასაც გადახედონ და ამასთან დაკავშირებული, სისხლის სამართლის საქმეებიც მოიძიონ. ნებისმიერ შემთხვევაში, „ვერსია“ სასამართლო პროცესს თვალს მიადევნებს და ჟურნალისტურ მოკვლევას განაგრძობს.*

თბილისში დამატებით 9 საბავშვო ბაღი აშენდება

როგორ აპირებს ხელისუფლება გასხვისებული ბაღების დაბრუნებას

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

თბილისის მერიის კორუფციულ გარიგებებში მხილება საზოგადოებისთვის უცხო აღარ არის. არასამთავრობო ორგანიზაციები გიგი უგულავას, მთელ რიგ კანონდარღვევებთან ერთად, ბრალს საბავშვო ბაღების გასხვისებაშიც სდებენ. დედაქალაქის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე საუბრობს თბილისის საკრებულოს წევრი გულიკო ზუმბაძეც, რომელსაც „ვერსია“ დაუკავშირდა.

— პრივატიზების პროცესის დასაწყისში, იმ ობიექტების ჩამონათვალში, რომელთა პრივატიზება არ შეიძლებოდა, საბავშვო ბაღები და კულტურის სახლებიც შედიოდა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის პერიოდში ისინი მაინც გასხვისდა. სწორედ ამიტომ ვდგავართ ახლა სერიოზული პრობლემის წინაშე. მივაღწიეთ იმას, რომ აეროპორტის 12 საბავშვო ბაღი, რომელსაც დღემდე უცხოური კომპანია პატრონობდა, ქალაქს გადმოეცა. მოსახლეობის, მშობლებისა და პედაგოგების მოთხოვნა იყო, ბაღი კერძო მფლობელობიდან გამოსულიყო, რადგან იქ ბევრი პრობლემაა — გასაკეთებელია გათბობა, ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები, არ აქვთ სათანადო ინვენტარი, სათამაშოები, არ იყო ყურადღება გამახვილებული სააღმზრდელო პროცესებზე, კადრებზე... როგორც გავიგე, ახლა ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, შედის ხარისხიანი პროდუქტი, რადგან უკვე ჩვენი კონტროლის ქვეშაა. ზოგადად, მიმაჩნია, რომ თვითმმართველობის მზრუნველობის ქვეშ უნდა იყოს ყველა სკოლამდელი დაწესებულება, კერძო ბაღებიც კი და კარგი იქნება, ამ მხრივაც თუ შევა კანონში ცვლილებები, გარკვეულ ჩარჩოებში ისინიც უნდა მოექცნენ.

— ახალი მეპატრონის ინტერესი რა იყო — გადასახადი?

— არა მგონია, საკუთარი სურვილით შეესყიდა ვინმეს, ან რაიმე ინტერესი ჰქონოდა... უბრალოდ, ამ კომპანიის ბიზნესინტერესები, გარკვეულწილად, აეროპორტთან იყო დაკავშირებული და ამოიტომ აკიდეს ვალდებულებები საბავშვო ბაღთან დაკავშირებით.

— ითქვა, რომ სხვა გასხვისებული ბაღების დაბრუნების პროცესიც დაიწყებოდა. ეს საკითხი უკვე განიხილება?

— შესაძლოა, ეს თემაც დაიძრას, ვინაიდან ჩემი ინფორმაციით, გასხვისებულ საბავშვო ბაღებში არაფერი ხდება. ამ ფონზე, იქნებ სახელმწიფომ გარკვეული თანხა გამოყოს და თვითმმართველობებმა მეპატრონეებთან მოლაპარაკებები აწარმოონ, თუმცა უკვე ძნელია, ვინმეს რამეში მოედავო — თავის დროზე, ისინი გარკვეული გარიგებებით კი გასხვისდა, მაგრამ შემდეგ 2-3 ჯერ მაინც გადაიყიდა. ამ ვითარებაში, ისღა დაგვრჩენია, თუ შენობა ვარგისია, შევიძინოთ, გავარემონტოთ და ბაღები ხელახლა გავხსნათ.

— დედაქალაქის ბაღებში, თითო ჯგუფში ბავშვების რაოდენობა დაშვებულ ნორმებს საგრძნობლად აჭარბებს. ეს პრობლემა როგორ უნდა მოგვარდეს?

— რადგან დედაქალაქს საბავშვო დაწესებულებები არ ჰყოფნის, მერიამ ნება დართო, ჯგუფში 40-45 აღსაზრდელი ყოფილიყო. ასეთ პირობებში, წარმოუდგენელია, შედეგს მივაღწიოთ. ინფექციის გავრცელების კერასა და ჟანგბადის ნაკლებობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პატარა სივრცის გამო, თავისუფლად მოძრაობაც შეუძლებელია. ბავშვების რაოდენობა, ბაგაში 20-ს, ხოლო მაღალ ჯგუფებში 25 ბავშვს არ უნდა აჭარბებდეს — ესაა სტანდარტი. ახლა იგეგმება 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა. 2 პროექტი უკვე მზადაა. ზოგადად, 9 საბავშვო ბაღზე გვაქვს გათვლა, მაგრამ საკმარისი თანხა არ არის, რადგან 1 შენობას 2 მილიონი ლარი სჭირდება. იმედი მაქვს, ბიუჯეტში ცვლილებების ხარჯზე, გამოვნახავთ საშუალებას, წელს მათი მშენებლობა დაიწყოს. ამას გარდა, ვითხოვდი ორცვლიანი სისტემის შემოღებას, რადგან 10 საათის განმავლობაში, ერთი მასწავლებლისთვის რთულია პატარებთან მუშაობა, ამისთვის კი 8 მილიონი ლარი გვჭირდებოდა. მერია წინააღმდეგი წავიდა და წელს ეს პროექტი ჩავარდა. ვიმედოვნებ, მომავალში აუცილებლად იქნება 2-ცვლიანი რეჟიმი, მანამდე კი იქნებ წამოგვეწიოს კანონი, რომელსაც პარლამენტი ამზადებს სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით. ეს იდეა თინა ხიდაშელმა გაახმოვანა. განათლების სამინისტრო მუშაობს, ყველა ნორმა გაიწეროს სკოლამდელი აღზრდის თემასთან დაკავშირებით. ბავშვთა რაოდენობა, შენობების მდგომარეობა, კვება, რეჟიმი, მეცადინეობა, კადრები, ფსიქოლოგი გვჭირდება თუ ლოგოპედი, აბსოლუტურად ყველაფერი გაწერილი და ჩვენ ბაღებზე მორგებული იქნება. ვთანხმდებით, რომ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომაა საჭირო, თუმცა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ერთიანი პოლიტიკა, კონცეფცია, რომელსაც შემდეგ თვითმმართველობები განახორციელებენ.

— ცხრა ბაღის აშენება რომ მოხერხდეს, პრობლემა მოგვარდება?

— 9 ბაღი, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მაგრამ წელს ბიუჯეტი მეტის საშუალებას არ გვაძლევდა — სერიოზული ჭიდილი იყო ამასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, საკრებულოში კოლეგები არ აღმოჩნდნენ მზად, ჩემთვის მხარი დაეჭირათ. მხოლოდ ერთი დეპუტატი ვიბრძვი სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით, რადგან ბავშვზეა დამოკიდებული ოჯახის კეთილდღეობაც, დასაქმებაც, ეკოლოგიური მდგომარეობაც... სხვათა შორის, თავის დროზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა სწორედ სკოლამდელ აღზრდაში ჩადებული ინვესტიციებით დაიწყეს, რადგან ეს გათვლილი იყო მომავალზე — იცოდნენ, ეს ინვესტიცია მოუტანდა ქვეყანას კეთილდღეობას და ასეც მოხდა. გონიერი ხელისუფალი ყოველთვის ამ მიმართულებით ივლის... რადგან პროცესი დაწყებულია, გადასაჭრელია თემა, ვის დაქვემდებარებაში უნდა იყოს სკოლამდელი დაწესებულებები. კარგი იქნება, ბაღები თვითმმართველობების მზრუნველობის ქვეშ თუ იქნება და მათ მუშაობას ცენტრალური ხელისუფლება გააკონტროლებს. რადგან მშობელს გადასახადისაგან ვათავისუფლებთ, არ ნიშნავს, რომ იქ იდეალურად იზრდება ბავშვი ანუ სწორად აღზრდის საკადრო საკითხს უნდა მივხედოთ. არადამაკმაყოფილებელია არსებული გარემო და ასე, თავისუფალ, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანს ვერ მივიღებთ. ბავშვთა გადაჭარბებული რაოდენობა კი სერიოზულ დაღს ასვამს პედაგოგს, რადგან მსგავს პირობებში იგი ვერ იქნება წარმატებული.

— ბევრ ბაღში დაწყებულია სარემონტო სამუშაოები, არადა რეგისტრაცია მომდევნო თვიდან იწყება. სექტემბრამდე შენობების გარემონტება მოესწრება?

— თბილისის მასშტაბით 158 საბავშვო ბაღში, გათბობის სისტემა და კარ-ფანჯარა იცვლება. ბაღების ეზოები დღეს მძიმე მდგომარეობაშია. არადა, ეს საუკეთესო ადგილებია ნარგავებისთვის, ატრაქციონებისთვის, გარესათამაშოებისთვის... მომავალში ამაზეც ვიზრუნებთ. ბავშვი დიდხანს უნდა იყოს სუფთა ჰაერზე. შესაბამისად, ბაღის ეზოში შესაბამისი გარემო უნდა შევუქმნათ და უზრუნველვყოთ, გარკვეული სწავლა-აღზრდის პროცესი შენობის გარეთაც წარიმართოს. სკოლამდელი აღზრდისთვის ბიუჯეტიდან 70 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. ვფიქრობ, ამ თანხით არაერთი პრობლემის გადაჭრას შევძლებთ.

გალის რაიონის პედაგოგებს დაუბეგრავი მინიმუმი არ ეკუთვნის

რას პასუხობს ენგურსგაღმა „უიარაღო ჯარისკაცებად“ დარჩენილ პედაგოგებს ფინანსთა სამინისტრო

რუსუდან შელია
557-100-768

გალის რაიონის პედაგოგები დაუბეგრავ მინიმუმს ვერ იღებენ. როგორც „ვერსიას“ ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა შეატყობინა, ენგურსგაღმა მცხოვრებ ქართველ პედაგოგებს განათლების სამინისტროს რესურსცენტრში განუცხადეს — დაუბეგრავი მინიმუმის თქვენთვის გადახდა გათვალისწინებული არ არისო. არადა, რაიონში მასწავლებლებს დახმარების სახით თვეში მხოლოდ 200 ლარი ერიცხებათ და, შესაბამისად, მათი წლიური შემოსავალი ექვს ათას ლარს არ აღემატება: **„გალელი მასწავლებლები ენგურსგაღმა უიარაღო ჯარისკაცებად შემოვრჩით, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. როცა დაუბეგრავი მინიმუმის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, დეკლარაციის შევსება გადავწყვიტეთ, მაგრამ ჯერ სკოლაში, შემდეგ კი განათლების სამინისტროს რესურსცენტრში გვითხრეს, თქვენთვის თანხის დაბრუნება გათვალისწინებული არ არისო. პასუხი ვერავისგან მივიღეთ და იქნებ ვინმემ გაგვარკვიოს, გვაღიარებს თუ არა საქართველოს მთავრობა ქვეყნის მოქალაქეებად ან რატომ არავის ადარდებს ჩვენი მდგომარეობა?!“**

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა მიზეზით ეუბნებიან უარს გალის რაიონის პედაგოგებს დაუბეგრავი მინიმუმის გაცემაზე. თავდაპირველად, ფინანსთა სამინისტროს დავუკავშირდით, სადაც მასწავლებლების დამქირავებლებთან გადაგვამისამართეს. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ხატია მოისწრაფიშვილმა** განგვიმარტა, რომ გალის რაიონის მასწავლებლები სახელმწიფოსგან დამატებით თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ მათი დამქირავებელი წინა წლის ხელფასთან დაკავშირებით ინფორმაციას შემოსავლების სამსახურში დააზუსტებს: **„მსგავსი შემთხვევებისას ორი ვარიანტი მოქმედებს: ან განმცხადებელს არ ეკუთვნის თანხა, ან მის შესახებ ინფორმაცია ბაზაში არ მოიპოვება. შესაბამისად, თუ პირი ფიქრობს, რომ წინა წლის ხელფასიდან გამომდინარე, დაუბეგავი მინიმუმი ეკუთვნის, მაგრამ არ ერიცხება, დამქირავებელს უნდა მიმართოს, ამ უკანასკნელმა კი შემოსავლების სამსახურში ხელფასის გაცემის შესახებ ინფორმაცია უნდა დააზუსტოს. თუ ხელფასი აღრიცხული ან დაბეგრილი არ არის, ფულს ვერ დავაბრუნებთ. იგივე პრობლემით, ბოლო პერიოდში, უამრავი ბუღალტერი მოგვმართავს. იმ ადამიანთა რიგები დგას, რომლებიც გასული წლის შემოსავლის დაზუსტებას ცდილობენ. თავდაპირველად, ვვარაუდობდით, რომ დაუბეგრავ მინიმუმს 500 ათასი დარეგისტრირებული პირი მიიღებდა, მაგრამ ეს ციფრი საგრძნობლად გაიზრდება. 30 სექტემბრამდე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, 2013 წლის ხელფასი დაარეგისტრირონ და დაუბეგრავი მინიმუმიც მიიღონ“.**

რაც შეეხება კონკრეტულად გალის რაიონის პედაგოგებს, ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით მათ 200 ლარი დაუბეგრავად ერიცხებოდათ, შესაბამისად, სახელმწიფოსგან დაუბეგრავ მინიმუმს ვერ მიიღებენ; აღსანიშნავია ისიც, რომ ეს 200 ლარი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მათთვის გაცემული დახმარებაა და არა ხელფასი. ხელფასს პედაგოგები დამსაქმებლისგან, ანუ აფხაზური მხარისგან იღებენ. „ვერსია“ განათლების სამინისტროსაც დაუკავშირდა, სადაც სწორედ განგვიცხადეს, რომ დაუბეგრავი მინიმუმის დარიცხვის საკითხის დარეგულირება, მათი პრეროგატივა არ არის, მით უმეტეს, ისინი ამ პედაგოგების დამსაქმებლებიც არ არიან.

„ეს არ არის მხოლოდ მელოდია და მექანიკურად შესრულებული ნაწარმოები, მე მაცხოვრის ჭირისუფალი ვარ...“

არსებობს ერთი ქართული საგალობელი, რომელმაც მისია შეასრულა და ერთი უნიკალური ხმა, რომელიც ადამიანებს დედაეკლესიაში იხმობს.
ვინც ერთხელ მაინც მოისმინა ნაირა ნაჩხატაშვილის მიერ შესრულებული მაცხოვრის დატირება, მან ქრისტეს ტკივილი გაიზიარა...
„მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, – ასე ჰქვია საგალობელს, რომელიც დავით გურამიშვილის ლექსის მიხედვით, პატრიარქის კურთხევით, 35 წლის წინ შეიქმნა და ყოველ წითელ პარასკევს გარდამოხსნის რიტუალისას სრულდება. როგორ შეიქმნა „ღვთისმშობლის გოდება“ (როგორც მას ხალხმა შეარქვა) და ვინ არის მისი ავტორი და ერთადერთი შემსრულებელი?

როგორ შეიქმნა ღვთისმშობლის გოდება და ვინ არის მისი ერთადერთი შემსრულებელი

ნაირა ნაჩხატაშვილი (მგალობელი): — კომუნისტური წყობა იყო და მოგეხსენებათ, წირვა-ლოცვა მხოლოდ საუფლო დღესასწაულებსა და შაბათ-კვირას ტარდებოდა. მაშინ ტაძარში მხოლოდ მოხუცების შერეული გუნდი დადიოდა და ჩვენც მხოლოდ „რომელი ქერუბიმთა“ და „შენ ხარ ვენახი“ ვიცოდით. მეტი გალობა არსად ჟღერდა. აკურთხეს თუ არა ჩვენი პატრიარქი კათალიკოსად, დაიწყო ფიქრი, როგორ მოეყვანა ხალხი ეკლესიაში. ერთ-ერთ ქადაგებაზე თქვა, რომ სურდა, წირვა-ლოცვა ყოველდღიურად ჩატარებულიყო. ეს ქადაგება ჩემმა პედაგოგმა ლეილა აბაშიძემ მოისმინა (მუსიკალურ ტექნიკუმში სადირიჟოროზე ვსწავლობდი), დამიბარა, ოთახის კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა და გურული „მრავალჟამიერი“ მომასმენინა. შევატყვე, სიმღერას სხვა მიმართულებას აძლევდა. შემდეგ კიდევ ერთი საგალობელი დაუკრა... და ჩვენს შორის ძალიან მოკლე დიალოგი შედგა:

– რა აზრის ხარ?

– არ ვიცი, მგონია, რომ ეს ტაძარში უნდა ჟღერდეს...

– შენ იმღერებ?

– დიდი სიამოვნებით!!!

– არ შეგეშინდება?

– არა!

...მალე გავხდი პირველი მგალობელი, ყოველდღიურ მსახურებაში მონაწილეობის უფლება მომეცა. 35 წელი გავიდა და მე კვლავ ტაძარში ვგალობ...

იყო პერიოდები, ტაძარში სიარულის გამო სასწავლებლიდან გამრიცხეს. უფრო რთული ეტაპებიც იყო, მაგრამ ეს ბედნიერება და სიხარული ყველანაირ უსიამოვნებას გადაწონის.

– უწმინდესის ძალისხმევით ქართული საგალობლების აღორძინება დაიწყო. ერთს მეორე შეემატა, მეორეს მესამე, თუმცა „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთის“ მუსიკის შექმნა, რომელიც კომპოზიტორებს დაევალათ, დროში იწელებოდა. ბევრი მუსიკა შეიქმნა, მაგრამ...

– მაგრამ მოხდა ისე, რომ პატრიარქმა რაღაც ვერ იპოვა... მოსმენებს მეც ვესწრებოდი და შექმნილი მელოდიები ტექსტის პასუხს თითქოს არ იძლეოდა. პატრიარქმა აზრი მკითხა და მეც ვუთხარი, რომ „ეს უნდა იყოს ძალიან მარტივი საგალობელი და ქართველი დედის ტირილს ჰგავდეს“... დავიწყე გალობა და როგორც კი პირველი სტრიქონი დავასრულე, უწმინდესმა მითხრა: „ჰო, ეგ არის! ეგ არის! ეს დარჩება და შენ იგალობებ!“ ეს სწორედ ის ვერსიაა, რასაც ახლა ისმენთ.

– რა ხდება თქვენში ამ გალობის შესრულებისას, ან თუნდაც შემდეგ? – ალბათ, ძალიან რთულია იმ ემოციებისგან გათავისუფლებაც...

– ამას ხშირად მეკითხებიან... თითოეულ სიტყვას თვალნათლივ ვუყურებ და ვხედავ... დავტირი უფლის ტკივილს და ჩემი მგალობლები ჩემთან ერთად ტირიან... ეს არ არის მხოლოდ მელოდია და მექანიკურად შესრულებული ნაწარმოები, მე მაცხოვრის ჭირისუფალი ვარ...

– თქვენთვის უცხო არაა დიდი სცენა. ტაძრის „სცენა“ ალბათ, ძალიან განსხვავებულია...

– სცენა ადგილია, სადაც ბოლომდე იხარჯები. ტაძარშიც ბოლომდე იხარჯები, ოღონდ ნიღბისა და მსახიობობის გარეშე. ვმღეროდი ჯანსუღ კახიძესთან, სახელმწიფო კაპელაში... მაგრამ კონცერტზე ვმღეროდი და მოვდიოდი, ტაძარში კი ვგალობ და აქ ვრჩები, ეს ჩემი სახლია...

– ალბათ, გიჭირთ ამ „სახლიდან“ შორს წასვლა. ცნობილია, რომ უარი თქვით სერიოზულ შემოთავაზებებზე უცხოეთიდან.

– ბავშვობაში დიდ წარმატებებზე ვოცნებობდი და მათ შორის, კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზეც... დიახ, მქონდა სერიოზული შემოთავაზებები, მაგრამ წასვლის წინ ვდგებოდი ღვთისმშობელთან და ვთხოვდი, თუ საქართველოს უფრო ვჭირდებოდი და ჩემი გადაწყვეტილებით მადლს დავკარგავდი, ხელი არ მოემართა. დღესაც აქ ვარ. ძალიან მიჭირს სხვა ქვეყანაში დიდხანს გაჩერება... რადგან ბავშვობას შევეხეთ, ერთ ისტორიასაც მოგიყვებით: ჩვენ დროს ბავშვები „შატალოზე“ კინოთეატრებში მიდიოდნენ. მე და ჩემი მეგობარი მზია მურადაშვილი კი ტაძარში დავდიოდით და საათობით ვრჩებოდით. ვერ გეტყვით, რომ გააზრებულად ვმოქმედებდით, მაგრამ თითქოს, რაღაცისთვის გვამზადებდა უფალი...

ერთხელაც მორიგ „შატალოზე“ ვართ სკოლიდან და ძალიან გვშია. უცებ დავინახეთ, ღვთისმშობელთან მანეთიანი იდო. ვიმსჯელეთ და დავასკვენით, რომ ღმერთი ხედავდა ყველაფერს, ხედავდა ჩვენს მდგომარეობას. ფული ავიღეთ, 2 ფუნთუშა ვიყიდეთ და ხურდა კვლავ ღვთისმშობელს დავუბრუნეთ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო კარგი საქციელი და დღემდე ვიხსენებთ ჩვენს ბავშვურ გულუბრყვილობას, მაგრამ ეს იყო ძალიან გულწრფელი დამოკიდებულება უფალთან...

– მამა გაბრიელთან დაკავშირებულ ისტორიას არ მოგვიყვებით?

– მოდით, ამას ნუ დაწერთ, სხვაგვარად არ გაიგონ.

– ვინც სხვაგვარად არ გაიგებს, მათთვის დავწეროთ.

– მამა გაბრიელი სამების ტაძარში მობრძანდებოდა ხოლმე. მაშინ უბრალოდ ვიცოდით, რომ იყო ერთი სალოსი ბერი... პირადად მე შინაგანად ყოველთვის მქონდა მისდამი მოკრძალება. ერთხელ მამა გაბრიელი ტაძარში შემობრძანდა და ყველას გასაგონად დაიყვირა: დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ!... ყველამ დაიჩოქა, მოძღვრებმაც... მე შემაჩერა და მითხრა: არა, შენ არა! ყველა გაჩუმდა და მამა გაბრიელმა მითხრა საოცარი სიტყვები, ის მზის სხივებსა და თამარ დედოფალს მადარებდა... ვერც გადმოვცემ, ვერც დავიმახსოვრე, უბრალოდ მახსოვს, რომ ძალიან შემრცხვა ასეთი შექების...

– თქვენ, მშობლები, ძმა, შვილი – მუსიკალური ოჯახის ტრადიცია გრძელდება. სიახლე გაქვთ ქალიშვილთან დაკავშირებით (?).

– ჩემი შვილი წარმატებული საოპერო მომღერალია, „ბრილიანტის ხმას“ უწოდებენ. ახლახან დაოჯახდა. ჩემი სიძეც მომღერალია. წლების წინ მე ვამეცადინებდი ვოკალში, შემდეგ იტალიაში წავიდა. 9 წლის შემდეგ ჩემი ქალიშვილი და კობა (გიორგაძე) ბელგიაში შეხვდნენ და დაოჯახდნენ. ახლა უკვე პატარას ველოდებით.

საოცრად მადლიერი ვარ უფლის, ჩვენი უწმინდესის, მრევლის, ჩემი ოჯახის. იცით, რამდენიმე წლის წინ ძალიან ცუდად გახლდით. ასეთ დროს ყველა ფიქრობს სიკვდილზე. გამონაკლისი მეც არ ვარ. მაშინ მივხვდი, რომ ვიყავი ადამიანი, რომელსაც ყველაფერში გამიმართლა. თუ უფალი ამქვეყნიდან გამიყვანდა, მივდიოდი მშვიდად – სიძულვილის გარეშე: მიყვარდა ყველა ადამიანი და მიყვარდა სამშობლო...

P.S. მართლმადიდებლებისთვის წლის ყველაზე მძიმე დღეს, წითელი პარასკევს, ქალბატონი ნაირა სამების საკათედრო ტაძარში ოცდამეთხუთმეტედ შეასრულებს მაცხოვრის დატირებას. მსახურების დასრულების შემდეგ კი მრევლი კვლავ ჩადგება იმ გრძელ რიგში, რომელიც მგალობელთან მიიყვანს და კიდევ ერთხელ მადლიერებას გამოხატავს... „ქალბატონო ნაირა, არასოდეს მიგრძნია უფლის ტკივილი ასე ახლოს“, „დიდი მადლობა, მადლობა ყველაფრისთვის“, „მე აქ თქვენთვის მოვედი“ ... მორწმუნეთა მადლიერება და ლოცვა ქალბატონ ნაირას მთელი წელიწადი – წითელი პარასკევიდან, წითელ პარასკევამდე მიჰყვება...

sazogadoeba.ge

პატიმრის დედა პროკურატურას მიმართავს

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

„ჩემმა შვილმა გაუსაძლისი ტკივილის გამო მოითხოვა ტკივილგამაყუჩებელი, რომელიც არ მიაწოდეს და ამის შემდეგ მუცელი გამოიფატრა. ციხის თანამშრომლებმა, დახმარების ნაცვლად, საკნიდან გაიყვანეს და სასტიკად სცემეს“, — აცხადებს გიორგი კანდელაკის დედა და სიკვდილის პირას მყოფ პატიმართან ექიმის შეყვანას ითხოვს. **მთვარისა ნარვენიანი** №6 საპყრობილის თანამშრომლებს ტუსაღებთან უკანონო გარიგებებში სდებს ბრალს და აცხადებს, რომ შვილის მიერ წაგებული „თავანი“ თვითონ „ჩააბარა“: **„გიორგის წინა ხელისუფლების დროს, ციხის ცნობილი ფაქტების შემდეგ, დასახიჩრებული აქვს სხეული, მოტეხილი აქვს 6 ნეკნი და მარცხენა მკლავი, ასევე არმატურით ცემის შედეგად დაუზიანდა თავის ქალა, აქვს მრავალი შეშუპება და თავის ძლიერი ტკივილი. 2014 წლის 12 აპრილს იგი №6 საპყრობილიდან გადაიყვანეს გლდანის №8 დაწესებულებაში, სადაც კარანტინში ყოფნის დროს გაუსაძლისი შეტევების გამო, მოითხოვა ტკივილგამაყუჩებელი, რომელიც არ მიაწოდეს. ამის შემდეგ პატიმარმა თვითდაზიანების შედეგად მუცელი გამოიფატრა. ციხის თანამშრომლებმა, დახმარების ნაცვლად, საკნიდან გაიყვანეს და სასტიკად სცემეს. სიკვდილის პირას მყოფს, იმ ღამეს 10 ადამიანი ფიზიკურად 4-ჯერ გაუსწორდა, მათ შორის ერთ-ერთი ციხის ზედამხედველობის უფროსი იყო. ადვოკატებმა სახალხო დამცველის აპარატიდან, რომლებიც ჩემს შვილთან იმყოფებოდნენ, აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურეს. ვფიქრობ, ეს იყო მიზანმიმართული ანგარიშსწორება, რადგან დაზარალებულს მედიკამენტებს გლდანში გადმოყვანამდე ჩვეულებრივ აძლევდნენ. საქმე ისაა, რომ გიორგიმ №6 და №8 დაწესებულებებში დააფიქსირა თანამშრომლები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მის წამებასა და ცემაში მონაწილეობდნენ. იგი ადმინისტრაციას პატიმრებთან უკანონო გარიგებებში ამხელდა. კერძოდ, №6 სატუსაღოს თანამშრომლების დახმარებით, ტელეფონების საშუალებით ხდება ე.წ. გამაზვები. ჩემი შვილის მიერ წაგებული 1200 ლარი 2 თვის წინ თავად გადავეცი უცნობ ადამიანს. ამასთან დაკავშირებით შევიტანე განცხადება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გენერალურ ინსპექციაში, სწორედ ამიტომ მოვითხოვე გიორგის გადაყვანა №6 ციხიდან №8 დაწესებულებაში, რათა არ ჰქონოდა ადგილი სხვა პატიმრების მხრიდან მასზე ზეწოლას. მივმართავ უფლებადამცველებს, განსაკუთრებით, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს და ეკა ბესელიას, გლდანის №8 იზოლატორში მოინახულონ ჩემი შვილი, რომელიც სასტიკადაა ნაცემი, გამოფატრული აქვს მუცელი, სისხლი სდის და ექიმი ჯერაც არ შესულა... სახალხო დამცველის ოფისს პროკურატურაში შეტანილი აქვს მოთხოვნა, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავეები**

სასტიკად დაისაჯონ. ვთხოვ, პროკურატურას დაინტერესდეს ამ ფაქტით, დაზარალებულს ჩაუტარდეს ექსპერტიზა, სანამ ცემის კვალი აქვს. თუ ალტერნატიულ ექსპერტიზას ჩავატარებ, უნდა შევათანხმო სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან და საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, ამას დროში გააჭიანურებენ; ასევე მოვითხოვ, ჩაუტარდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რადგან აქვს ფსიქიკური პრობლემები და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება“.

„ვერსია“ დაინტერესდა, სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ ახლად განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმების პირობებში თუ მკურნალობდნენ პატიმარს? ამ კითხვაზე, მთვარისა ნარვენიანი ამგვარად გვპასუხობს: **„ნაღვლის ბუშტის შეტევა ჰქონდა... პატიმართა მკურნალობის პროგრამის ფარგლებში კი არ უმკურნალეს, ნაღვლის ბუშტი ამოაჭრეს და სამ დღეში ციხეში მიაბრუნეს. ფსიქოლოგიურ მკურნალობას დიდი ხანია ვითხოვ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 3-4 ჯერ მოინახულა ფსიქიატრმა. ექიმი შემპირდა, აუცილებლად ჩავსვამთ ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამაშიო, მაგრამ ახლა ეს უბედურება დაგვემართა“.**

რაც შეეხება პატიმრის მონახულებას, „ვერსიას“ სასჯელაღსრულების სამინისტროში განუცხადეს, რომ ციხეში შესვლა პატიმრების ოჯახის წევრებს უპრობლემოდ შეუძლიათ, თუმცა ამ ფაქტს ქალბატონი მთვარისა უარყოფს და აცხადებს, შვილის ნახვა რომ მინდოდა, მითხრეს, პაემანი 28-ში გეკუთვნით და დაელოდეთო.

1. მრგვალი ფორმის კოტლეტი
2. თბილისის უბანი
3. სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგ
4. ლურჯი მინერალური საღებავი
5. გენეტიკის ერთ-ერთი „მამა“
6. კვაზიმოდოს სატრფო
7. ორნაწილიანი ნაწარმოები
8. გულივერის სახელი
9. მდინარე ჭიათურაში
10. ზაფხულის მეორე თვე
11. მშვიდი საუბარი
12. პეტრე მოციქულის თავდაპირველი სახელი
13. რაიმე იდეის სიმბოლო
14. ძვ. ფრანგული ოქროს მონეტა
15. ბაღის დეკორატ. ყვავილი
16. ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი
17. სტენდალის ნამდვილი გვარი
18. უხვად დასურათებული გამოცემა
19. კუნძ. სარდინიის მთავარი ქალაქი
20. პირველი კოსმონავტი ძაღლი
21. იგივეა, რაც ქსოვილი
22. გამომგონებელი თომას ... ედისონი
23. ფოსო მკლავის ტანთან შერწ. ადგილზე
24. სუსტი ქარი, ნიავი
25. თვითმფრინავის კიბე
26. გუმბათიანი მრგვალი შენობა
27. ინტუიცია, გუმანი
28. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
29. ბიბლიური აბრაამის ცოლი
30. დედამიწის თანამგზავრი
31. საქონლის საკვები ბალახი
32. აღმოსავლ. სიმღებიანი საკრავი
33. კედლის ჭაღი
34. მოდელი-ორი ...-სენ ლორანი
35. სასადილო იტალიაში
36. პიკასოს ცნობილი ნახატი
37. მორიკონეს სახელი
38. ქართველთა წმინდანი ქალი
39. მსახიობი რასელ ...
40. მოზრდილი მღრღნელი ცხოველი ციყვების ოჯახიდან
41. შრეკის სატრფო
42. ჭ. ჯავახიშვილის მეზეკმე
43. ვაგნერის ოპერა
44. შიშველი სხეული ფერწერაში
45. ინგლისური სიგრძის ერთეული
46. რუსული როკ-ჯგუფი
47. რუსეთის კინოკადემიის პრიზი
48. თხუნელას სახელწოდება გურიასა და იმერეთში
49. ფუჭი, უშედეგო
50. მტაცებ. ფეხსახსრიანი ცხოველი
51. დიდი უზბეკი პოეტი და მოაზროვნე ალიშერ ...
52. ხის ცხენით დაპყრობილი ქალაქი
53. ტყავის გამომყვანი ხელოსანი
54. აპოგეას ანტონიმი
55. იტალიური ვერმუტი
56. კომედია „რევიზორის“ ავტორი
57. სამაგიდო თამაში
58. ხოხბის ბარტყი
59. დეკორატიული მცენარე
60. პროფილაქტიკური სამედ. პროცედურა



ციფრები ხასიათზე მეტყველებს

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ რომელიმე ციფრისთვის უპირატესობის მინიჭება ადამიანის ხასიათსა და თვისებებზე მოგვითხრობს: ერთიანის სიყვარული იმის მანიშნებელია, რომ ეს პიროვნება ეგოისტი და ინიდივიდუალისტია; ვინც ორიანს ირჩევს, ის მიდრეკილია ბევრი ფიქრისა თუ განსჯისკენ და პესიმისტია; სამიანს ისეთი პიროვნებები ანიჭებენ უპირატესობას, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი უფლებების დაცვა, ოთხიანის მოყვარულები კი საიმედო, ერთგული ადამიანები არიან, რომელთა იმედიც ყოველთვის შეიძლება გქონდეთ. თუკი ადამიანი შემთხვევითი ციფრებიდან ხუთიანს ირჩევს, დიდია ალბათობა, რომ ეს პიროვნება არამდგრადი ხასიათით გამოირჩევა, ხოლო ვინც უპირატესობას ექვსიანს ანიჭებს, მშვიდი წყნარი და მომთმენია; სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვისას, რომელშიც 44 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად არჩევადი ციფრი შვიდიანია — ეს „ბედნიერი ციფრი“ პიროვნების სიბრძნესა და ჯანსაღ აზროვნებაზე მიუთითებს; რვას თავდაჯერებული ადამიანები ირჩევენ, ცხრიანი კი მათი საყვარელი ციფრია, ვინც აპათიისადმია მიდრეკილი და საკუთარი თავის შეცოდება უყვარს.



უჩვეულო ვაკანსიამ მილიონობით ადამიანი დააინტერესა

ბოლო პერიოდში ინტერნეტში ჰიტად იქცა „ოპერაციული დირექტორის“ ვაკანსია, რომელიც არარსებულმა კომპანიამ Rehtom Inc. გამოაცხადა. ინტერესი კი იმან გამოიწვია, რომ ვაკანსიაზე კანდიდატების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და პირობები, რბილად რომ ვთქვათ, საშინელი იყო. დამქირავებელი ქვეშევრდომისგან მოითხოვდა სრული სამუშაო დღის განმავლობაში ფეხზე დგომას, ანაზღაურების გარეშე, კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში. გარდა ამისა, კანდიდატს თანამდებობის დასაკავებლად მოეთხოვებოდა ფინანსების მართვის ცოდნა, გარკვეული უნდა ყოფილიყო მედიცინასა და კულინარიაში. ერთი დღის განმავლობაში ვაკანსია 2,7 მილიონჯერ ნახეს, მაგრამ მას მხოლოდ 24 ადამიანი გამოეხმაურა, Youtube-com-ზე კი ვიდეო ვაკანსიის შესახებ ორ დღეში 5781000-მა ადამიანმა ნახა.

მეძავებზე დახარჯულ ფულს სახელმწიფო აუნაგზაურებს

ჰოლანდიელმა პენსიონერმა, კლაას ბრიუნმა სასამართლო მოიგო, რომელიც შვიდი წელი გრძელდებოდა — მამაკაცი სახელმწიფოს უჩიოდა, რომელსაც მეძავებზე დახარჯული ფული უნდა აენაზღაურებინა. მთავრობა, რასაკვირველია, ასეთი კომპენსაციის გადახდის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ, საბოლოოდ, ჯიუტმა პენსიონერმა, ექიმების ცნობის წყალობით, თავისი გაიტანა. მისი მკურნალი თერაპევტი აცხადებდა, რომ სქესობრივი კავშირის შემდეგ მოხუც პაციენტს ნაკლები წამლების მიღება სჭირდებოდა, ფსიქიატრი კი უმოწმებდა, რომ ქალთან ინტიმური ურთიერთობის შემდეგ მამაკაცის ფსიქიკური მდგომარეობა მნიშნელოვნად უმჯობესდებოდა. რაკიღა ბატონი ბრიუნი პენსიაზე გასვლამდე საჯარო სამსახურში მუშაობდა, ნიდერლანდების კანონების მიხედვით, ქვეყნის ხაზინიდან უნდა დაეფარათ მისთვის ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე დახარჯული თანხა. ადგილობრივი მედიის ცნობით, სასამართლოს მოგების შემდეგ, პენსიონერი ვერ იღებდა კომპენსაციას.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				7	2		4	
7			1				2	
	2					9	5	
8			2			6		
			7	4	5			
		5			3			2
	1	2					8	
	8				4			3
	7		5	1				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		1			8	6		
5							8	
	7	6			4			2
	6	2	1	4				
				7				
				8	6	4	2	
2			9			3	4	
	9							1
		3	4			7		

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	3				9		6	
		9	6				8	
		5			3			
		1	8				4	
3				1				2
	5				2	1		
			9			4		
	7				8	9		
	4		2				5	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		7	6		2			4
	5							
8		4			7			1
	8			6				9
2				5			6	
5			8			1		2
							3	
1			7		4	6		

ვირტუალური მხედველობა უსინათლოებისთვის

ებრაული OrCam გაყიდვაში უშვებს ვირტუალური მხედველობის სისტემას, რომელიც უსინათლოებს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას მისცემს. გამოგონება ერთი მინიატურული კამერისგან შედგება, რომელიც ძლიერ პორტატულ კომპიუტერს უერთდება და სათვალის ჩარჩოზე მაგრდება. მსუბუქი ვიბრაციით, სისტემა ახმოვანებს ობიექტებს, რომელზეც მიუთითებს მომხმარებელი. საჭირო მიმართულებით ხელის გაშვერით, ვითარებიდან გამომდინარე გაიგონებს მაგალითად განცხადებას ან შეიტყობს, რომ ხუთ ნაბიჯში ავტობუსის გაჩერებაა. OrCam-ის ტექნოლოგია უწყვეტად ასკანირებს და ამოიცნობს სახეებს, ირგვლივ არსებულ ვითარებას. გარდა ამისა, მოწყობილობას შეუძლია მფლობელს შეატყობინოს, რომ უახლოვდება ადამიანს ან ადგილს, რომელიც უკვე შეტანილია კომპიუტერის მეხსიერებაში. ჩანაწერების გაკეთებისთვის კი საკმარისია, ნებისმიერ საგანს შეეხოს. ხელისგულით გაკეთებული უბრალო ჟესტი კომპიუტერის მეხსიერებაში ადგილს ან ადამიანის სახეს დაიმახსოვრებს. ამ დროისთვის სისტემა ინგლისურ ენაზე ამოიცნობს ტექსტებს. სპეციალისტები გვპირდებიან, რომ შესაბამისი, უფასო დამატების გამოსვლის შემდეგ, მომხმარებელს შეეძლება OrCam-ში ნებისმიერი სხვა ენა დაამატოს. ახალი მოწყობილობის გაყიდვებმა თვის დასაწყისში აიღო სტარტი, ღირებულება კი 2,5 ათასი დოლარია.

ნანონაწილაკები დნმ-ზე მოქმედებს



აშშ-ს ჰარვარდისა და მასაჩუსეტსის უნივერსიტეტების სწავლულებმა გააანალიზეს ის მონაცემები, რომელიც ადამიანის დნმ-ზე ნანონაწილაკების ზემოქმდებას უკაცშირდება. ცნობილია, რომ ეს ნანონაწილაკები ხშირად გვხვდება თითქმის ყველა სახის ნაწარმში, განსაკუთრებით კი კანის მოვლის კოსმეტიკურ საშუალებებსა და საკვებ პროდუქტში. როგორც სწავლულებმა დაადგინეს, ამ მცირე ნაწილაკების ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შედეგად თავისუფალი რადიკალები ვიწროვდება, რაც შემდეგ ადამიანის დნმ-ს აზიანებს. ამის დამტკიცება სპეციალისტებმა რამდენიმე ნაწილაკის სინთეზირებითა და შემდგომში მათი მღრღნელების სისხლის უჯრედებსა და ქსოვილში იძულებითი ჩანერგვის შედეგად შეძლეს. მსგავსი კვლევა ადამიანებზე, რასაკვირველია, არ ჩატარებულა.

სასარგებლო ანტიბიოტიკები

კომპანია IBM-ის მეცნიერები ახალი თაობის ანტიბიოტიკების შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც გვერდითი ეფექტები არ ექნება და პაციენტს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. კომპანია ნანოტექნოლოგებზეა სპეციალიზებული და ისინი ცდილობენ, ანტიბიოტიკებიც ნანოსტრუქტურების მუშაობაზე იყოს დაფუძნებული და ამგვარად, მთლიან ორგანიზმს არ მიაყენოს ზიანი. ნანოსტრუქტურების მოთავსებას სწავლულები ჩვეულებრივ ანტიბიოტიკებში აპირებენ, რათა დაავადებული უჯრედები მოძებნონ და ამ გზით დაარეგულირონ მკურნალობა. ასეთი პროექტები, მეცნიერთა მოსაზრებით, ძალიან სასარგებლოა, რადგან მათი გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ ანტიბიოტიკებში, არამედ სადეზინფექციო და სხვა საშუალებების შექმნაში.

სიმსივნის მთავარ მიზებს მიაგნეს?

ავტორიტეტულ ბრიტანულ სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც სიმსივნურ საკითხებს ეხება, ნათქვამია, რომ ონკოლოგიური დაავადებების მთავარი მიზეზი სულაც არ არის გენეტიკური თვითგანწყობა, როგორც ადრე მიიჩნეოდა, სიმსივნის მიზეზი სტრესი და დეპრესია ყოფილა. კიბოს გამომწვევ მიზეზთა შორის მკვლევარებმა მეორე ადგილზე თამბაქოს მოწევა დაასახელეს. ეს ორი ფაქტორი ერთნაირად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც. შემდეგი რისკფაქტორები კი სქესის მიხედვით იყოფა. სუსტი სქესისთვის სიმსივნის წარმოქმნის მთავარ მიზეზებს შორის მესამე ადგილზე ზედმეტი წონაა, კაცებისთვის კი კიბოს განვითარების რისკი იზრდება იმ შემთხვევაში, თუ მათ ყოველდღიურ რაციონში ბევრი ბოსტნეული არ შედის.



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	7	6	9	3	8	2	5	4
9	5	8	2	7	4	1	3	6
2	4	3	6	1	5	9	8	7
3	8	4	5	2	6	7	1	9
6	9	7	1	4	3	8	2	5
5	2	1	8	9	7	6	4	3
4	3	9	7	8	2	5	6	1
8	1	5	4	6	9	3	7	2
7	6	2	3	5	1	4	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	5	1	9	4	8	3	6	2
9	6	8	2	7	3	5	1	4
3	2	4	5	1	6	9	8	7
8	9	5	4	3	7	6	2	1
6	1	2	8	9	5	7	4	3
4	7	3	1	6	2	8	5	9
5	4	9	7	8	1	2	3	6
2	3	7	6	5	4	1	9	8
1	8	6	3	2	9	4	7	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	7	5	4	2	9	3	8	6
6	4	3	5	1	8	7	2	9
9	2	8	7	3	6	1	5	4
3	1	9	8	7	4	5	6	2
5	6	4	3	9	2	8	1	7
2	8	7	1	6	5	9	4	3
8	9	2	6	5	7	4	3	1
7	5	1	2	4	3	6	9	8
4	3	6	9	8	1	2	7	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	9	3	1	7	6	2	5	4
4	7	2	5	9	3	6	1	8
6	5	1	4	2	8	3	9	7
7	6	5	3	4	2	1	8	9
3	1	4	9	8	5	7	6	2
2	8	9	7	6	1	5	4	3
5	2	8	6	3	4	9	7	1
1	4	7	2	5	9	8	3	6
9	3	6	8	1	7	4	2	5

მე-12 გვერდი: 1. კვინტეტი; 2. ვაპორეტო; 3. ნერონი; 4. ეროტომანია; 5. კირილიცა; 6. ივრითი; 7. ინსოლაცია; 8. იგავი; 9. აპერკოტი; 10. ენა; 11. რგოლი; 12. ჯიპი; 13. პროსტატა; 14. ელინგი; 15. ალუმინი; 16. თრიალეთი; 17. კორნერი; 18. ენიგმა; 19. კათეტი; 20. ეირე; 21. ლალი; 22. მოხუცი; 23. ატა; 24. ქოთაო; 25. ქსენძი; 26. ბზე; 27. დი; 28. აფონია; 29. სტენლი; 30. პენსნე; 31. ბეკონი; 32. მინდი; 33. მათლაფა; 34. გო; 35. „ტიიდა“; 36. კანოე; 37. ნალი; 38. ხიდი; 39. ნაია; 40. ოუენი; 41. გაიანე; 42. მიაუ; 43. ურმია; 44. გუფი; 45. ხაო; 46. არს; 47. ანანიძე; 48. ფელაჰი; 49. დურუ; 50. ერიდა; 51. აღუ; 52. რონდო; 53. ნანტი; 54. „ტაიდი“; 55. იუდეა; 56. აკრი; 57. სუ; 58. დაჰაუ; 59. კეფა; 60. სინაგოგა; 61. „სილა“; 62. სოდა; 63. ეკიუ; 64. გურუ.

მოწევს ჩვევა მემკვიდრეობითია მემკვიდრეობით გადადის

ისეთი მავნე ჩვევა, როგორიც თამბაქოს მოწევაა, გარკვეულ ანაბეჭდს ტოვებს გენეტიკურ შემადგენელზე და სავალალო თაობიდან თაობას გადაეცეს. მაგალითად, იმ ქალის შვილიშვილი, რომელიც თავგამოდებული მწეველი იყო, შესაძლოა ასთმით იყოს დაავადებული, — ვარაუდობენ ამერიკელი მეცნიერები ლოს-ანჯელესის ბიოსამედიცინო კვლევითი ინსტიტუტიდან. ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ნიკოტინი ტავისებურ ნაკვალევს ტოვებს ადამიანის გენომზე. ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ცატარდა. ფეხმძიმე მღრღნელებს

აძლევდნენ ნიკოტინს, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მათი შთამომავლობა ასთმის განვითარებისკენ იყო მიდრეკილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეთოლოგიური გენი შემდგომ თაობასაც გადაეცემოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ ნიკოტინის ზემოქმედების ქვეშ. ჩატარებული კვლევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რაც ადრე კალიფორნიელმა სწავლულებმა გამოავლინეს: ბებიების მავნე ჩვევის შედეგები მათი მომავალი შვილიშვილების ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით 250 მილიონი მწეველი ქალია. ფეხმძიმობის პერიოდში კი მათი 12% კვლავ აგრძელებს სიგარეტის მოწევას.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

პრეზერვატივმა კლიენტის სიცოცხლე იმსხვერპლა

კონტრაცეპტივის მაღალი ფასის გამო მაღაზიაში დაწყებულმა კამათმა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აშშ-ში, ქალაქ დეტროიტის მცხოვრებს ბენზინგასამართ სადგურზე არსებულ მაღაზიაში ერთი ყუთი პრეზერვატივის შეძენა სურდა, მაგრამ მოლარესთან საკმაოდ მაღალ ფასზე დაიჩივლა და ფასის დაკლება სთხოვა. როცა მოლარემ უარი უთხრა, მამაკაცი გაბრაზდა და დახლიდან საქონლის გადმოყრა დაიწყო. საპასუხოდ გამყიდველმა დახლსქვემოდან იარაღი ამოიღო და აბობოქრებული კლიენტის დასაშინებლად სროლა დაიწყო. ტყვია მამაკაცს მხარში მოხვდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ უშველეს — სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა.

დაზღვევის ყველაზე უჩვეულო სახეობები

კომპანია Hullberry Insurance Company, რომლის შტაბ-ბინაც ამსტერდამში მდებარეობს, ჰოლანდიის მოქალაქეებს უჩვეულო რისკებზე დაზღვევას სთავაზობს. ამ ფირმამ ზედამხედველობის ორგანოებისგან უკვე მიიღო ნებართვა ექსტრავაგანტულ მომსახურებაზე სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ კი, გერმანიაში. მაშ ასე, დაზღვევა შემდეგ უჩვეულო რისკებზე მოქმედებს:

ბენზინზე ფასის გაძვირებისას — თუ საწვავზე ფასი 15%-ზე მეტად აიწევს, 1000 ლიტრზე დაზღვევა კლიენტს დამატებით ხარჯს აუნაზღაურებს, ასეთი დაზღვევის ღირებულება კი წელიწადში 19,95 ევროა;

კარის ჩაკეტვისას — თუ სახლიდან გამოხვედით, გასაღები დაგავიწყდათ და კარი ჩაგეკეტათ, დაზღვევა აუცილებლად გადაგიხდით თანხას 100 ევრომდე კვირის დღისა და საათის მიხედვით. დაზღვევის ღირებულება 18 ევროა წელიწადში;

ლიფტში გაჭედვისას — თუ ლიფტში გაიჭედეთ, კომპანია Hullberry დაკარგული დროის კომპენსაციას მოახდენს 75 ევროს გადახდით, დაზღვევის ღირებულება კი 12-დან 28 ევრომდეა წელიწადში.

ლატარიაში წარუმატებლობისას — ვინც წელიწადში არანაკლებ 52-ჯერ ითამაშა ლატარია და ვერც ერთხელ მოიგო, დამზღვევი კომპანიისგან 2500 ევროს მიიღებს.

მშრალი კანონისას — თუ ქვეყანაში შემოიღებენ მშრალ კანონს, დაზღვეული კლიენტი კომპანიისგან, სანუგეშოდ 500 ევროს მიიღებს.

უცხოპლანეტელებისგან მოტაცების შემთხვევაში „სადაზღვევო პრემია გაიცემა", — ნათქვამია ხელშეკრულებაში და კომპანია დაზარალებულს 5000 ევროს უხდის, თუმცა ამისთვის საჭიროა ექიმისა და ავია-კოსმოსური ორგანოების ცნობა.

უდანაშაულოდ ციხეში აღმოჩენისთვის — ვისაც ეშინია, რომ არაფრისგამო გისოსებსმიღმა აღმოჩნდება, შეუძლია კომპანიასთან სადაზღვევო ხელშეკრულება გააფორმოს და ასეთ შემთხვევაში კომპენსაციად 500 ევროს მიიღებს.

ქორწილის დღეს საკურთხეველთან თუ მიგატოვეს 100 ევრო ვერ დაგამშვიდებთ, თუმცა სადაზღვევო კომპანია ასე ცდილობს კლიენტებისთვის ტკივილის შემსუბუქებას.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.